ეროვნული
ბიბლიოთეკა



140
1971

3
1971

# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამას სამოცდახუთი დღეა,
შენც იცი, წელი,
და მარტო რვა მარტს
ცოტას ნიშნავს ლარნაკში ია;
შეუმსუბუქე დედას ტვირთი
მძიმე და ძნელი
და სიყვარულიც, ყველა გეტყვის,
რომ ამას ჰქვია.

მ. ლებანიძე

# 8 მარტი



# ალმები გვიამბობენ

ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლის პიონერთა ოთახში კედელზე შვიდი სხვადასხვაფერი ზონარია გაჭიმული. ეს ზონრები პიონერთა საკავშირო მარშის — „მზად ვარ!“ შვიდ მარშრუტს გამოხატავს. ზონარზე დამაგრებული პატარა ალმები, რომლებსაც ხშირად უცვლიან ადგილს, იმას გვანიშნებს, თუ რომელი რაზმი მიიწევს წინ, სძლევს „სიმაღლეებს“ და უახლოვდება მიზანს — მოიპოვოს მარჯვენა ფლანგზე დგომის საპატიო უფლება.

ყოველ ალამს თავისი თავგადასავალი აქვს და პიონერთა საინტერესო საქმეებს გვაცნობს. აი ზოგიერთი მათგანი.

**მარშრუტი „პიონერული დროშებისადმი სწორება“.**



## ბებიას ყელსახვევი ეკეთა

მერაბმა სკოლიდან შინ მიირბინა თუ არა, ბებია მოიკითხა.

— რა იყო, ბიჭო, რად გინდა? — ერთად ჰკითხეს დედამ და უფროსმა დამ.

— მჭირდება! — მოკლედ მოუჭრა მერაბმა და სამზარეულოსაკენ გაიქცა. ბებია საკმაზს ნაყავდა და არც გაუგია შვილიშვილის შემოსვლა. მერაბი ბებიას კისერზე ჩამოეკონწიალა, აკოცა და მერე ჰკითხა:

— ბები, შენ პიონერი იყავი?

ბებიამ ქვასანაყი მაგიდაზე დადო, წელში გაიმართა და შვილიშვილს ალერსით შეხედა.

— ვიყავი, შვილო, როგორ არ ვიყავი, კარგა დიდი დრო გავიდა მას მერე...

მერაბი თვალებით ეხვეწებოდა ბებოს, მიამბე რამეო, ბებიასაც აეშალა მოგონებები და მოჰყვა იმ მღელვარე წლების ამბებს, როცა სოფლად პირველი კოლმეურნეობები ყალიბდებოდა და პიონერული კოლექტივები კულაკებთან ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას; კოლექტივიზაციის მტრებმა სოფელ ხუცუბანში კოლმეურნეობის თავმჯდომარე მემედალ ხაბაზი მოკლეს, პიონერებმაც გამართეს საპროტესტო მიტინგი და მკვლელების მკაცრად დასჯა მოითხოვეს. ეს იყო 1931 წლის ზაფხულში. მერაბის ბებია და მისი მეგობრები — ყველანი წავიდნენ მემედალ ხაბაზის დაკრძალვაზე. სწორედ იმ დღეს, ხუცუბნელმა პიონერებმა ერთად გადაიღეს სურათი.

— ბებია, ბებია! სად არის ახლა ის სურათი? — შესძახა თვალებგაბრწყინებულმა მერაბმა. ბებია წამოდგა, ოთახიდან ძველისძველი საოჯახო ალბომი გამოიტანა და სურათის ძებნა დაიწყო. მერაბს კი უხაროდა, რომ რაზმის პიონერული მატიანის პირველი ფურცელი ნაპოვნი იყო. და განა მარტო მერაბი! იმ დღეს ბევრმა შვილიშვილმა ჩაახედა ბებიები და ბაბუები საოჯახო ალბომში. რვეულებში პირველი პიონერული რაზმების საქმიანობის ჩანაწერები გაჩნდა: „პიონერები წერა-კითხვას ასწავლიან მოხუცებს“, „შაბათობა ჩაის პლანტაციის გასაშენებლად“, „ბორჯომის მინერალური წყლების ქარხნისათვის ბოთლებს ვაგროვებთ“, „არ იყიდოთ საქონელი კერძო დუქანში!“ — აი ასეთი სათაურები ჰქონდათ მათ.

**მარშრუტი „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა“.**



## გმირის ხსოვნა უკვდავია

მატიანის შემდეგი ფურცლები იმ პირველ პიონერებს დაეთმობა, რომელთაც თავისი კაცური კაცობით სამშობლოს არგეს, მამული ასახელეს. დიდი სამამულო ომის გმირის, ახმედ ცერულიძის ფოტოსურათი პირველი რაზმის კუთხეში არის მოთავსებული. კარგი სწავლით, საინტერესო პიონერული საქმეებით მოიპოვეს პირველრაზმელებმა მისი სახელის ტარების საპატიო უფლება.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი



პიონერი

3 · მარტი · 1971

გამოცემის 45-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში ახმედ ვერულიძე ორჯერ დაიჭრა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბატალიონის ხელმძღვანელობას. ფაშისტები გარს შემოერტყნენ დაჭრილ მეთაურს და შეეცადნენ იგი ხელში ჩაეგდოთ. წითელარმიელი აბრამია წინ გადაეღობა მომხდურთ. რომ გრძნობადაკარგული მეთაური გადაერჩინა. ხუთს ერთი ვაჟკაცი ებრძოდა. ამ უთანასწორო ჭიდილში მან სამი ფაშისტი განგმირა და თვითონაც დაიღუპა. გაბოროტებული ფაშისტები დაჭრილ, გონებამიხდილ მეთაურს მივარდნენ და ცეცხლმოკიდებულ თივაში გადაისროლეს. ჯალათებს მაშინვე მოუღეს ბოლო ჩვენმა მეავტომატეებმა, მაგრამ უკვე გვიან იყო — ცეცხლიდან საყვარელი მეთაურის გვამი გამოიტანეს. შურისძიების გრძნობით ანთებული საბჭოთა ჯარისკაცები გაათკეცებული სიმძაფრით ეკვეთნენ მტერს და უკუაგდეს.

გმირის ხსოვნა უკვდავია! იგი ცოცხლობს პირველრაზმელთა ყველა კარგი საქმით — იმით, რომ პიონერებმა დიდძალი ჯართი შეაგროვეს პიონერული ავტომანქანისათვის, იმით, რომ სამშობლოს ტყე-ველს ასობით ნარგავი შემატეს, იმით, რომ ზრუნვას არ აკლებენ ერთმანეთს, რათა ყველას დღიურში კარგი ნიშნები ჩაიწეროს.

მარშრუტი
„პიონერმშენი"

## უჩინმაჩინები

ბებია ელენე გაკვირვებით შესცქეროდა წყლით სავსე ვედროებს: ნეტავ ვიცოდე, ეს რა უცნაური რამ ხდებაო! — ეს ორი დღეა, ბოსტნიდან რომ ამოდის, ვედროები წყლით ავსებული ხვდება. ჯერ ეგონა, ალბათ დილით მე თვითონ მოვიტანე და არ მახსოვსო. მაგრამ რაკი მეორე და მესამე დღესაც გამეორდა, მოხუცი გაოცებამ შეიპყრო.

ავადმყოფობის მერე ეზოში დაჭრილი შეშა რომ დაინახა, მაშინ კი გადაწყვიტა, ერთი უნდა დავუდარაჯდე და შევიტყო ჩემი კეთილისმყოფელების ვინაობაო.

ისინი კი — თემურელთა რაზმის წევრები შორიახლო თამაშობდნენ და მალიმალ ბებია ელენეს ეზოსაკენ იხედებოდნენ. უნდოდათ ეზო დაემარტოხელებინათ, რომ ჭიდან წყალი ამოეღოთ და შეშა კიდევ დაეჩეხათ.

კარგა ხანს იჯდა ბებია ელენე აივანზე, ჩასთვლიმა კიდეც. უცებ გამხმარი ტოტის ტკაცუნმა გამოაღვიძა თვალი რომ მოიფშვნიტა, ღობესთან



უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი მაყვალა ვერულიძე კარგად ხატავს და თავის ნორჩ მეგობრებსაც ასწავლის

რაღაც ჩრდილებს მოჰკრა თვალი, მე-რე კი გარკვევით გაარჩია: თავქუდ-მოგლეჯილი გარბოდნენ გოგო-ბი-ჭები.

მოხუცს გული უზომო სიხარულით აევსო — ასე ეგონა, ფრონტზე და-ღუპული შვილის ბავშვობის სხივმა შემოანათა მის ეზოში.

თემურელთა რაზმის წევრები კი ახლა პიონერთა ოთახში საუბრობდ-ნენ. საუბარი გაზაფხულს, ყვავი-ლებსა და მწვანე ნარგავებს შეეხე-ბოდა. რაზმეულის ნორჩ მეყვავილე-თა კლუბის წევრებმა ამ დღეს თე-მურელებისაგან საგანგებო დავალე-ბა მიიღეს — შინმოუსვლელთა ეზო-ებში ყვავილნარები უნდა გააშენონ. ნორჩ მეყვავილეთა კლუბს „თაიგუ-ლი“ ჰქვია. მართლაცდა, ვინ მოსთ-ვლის, რამდენ ლამაზ თაიგულს შეჰ-კონავენ წლეულს პიონერების მიერ გამოზრდილი ყვავილებით, რამდენ ოთახს, რამდენ სუფრას დაამშვენებს მათი ნაამაგარი ვარდები და მიხაკები, იასამნები და ქრიზანთემები!..

ეზოში ვარდები დახვდება ქალაქი-დან ჩამოსულ მოხუც ელისაბედსაც, რომელიც ზამთრობით შვილებთან მიემგზავრება ხოლმე. ჩამოვა და გულში სიხარულის სხივი ჩაუდგება. ჯამება ბოსტანში ლამაზად მოვლილი კვლები. მეზობლებში იკითხავს: ვინ მოისხა ჩემი მადლიო, პასუხს კი არავინ გასცემს ამ კითხვაზე. ეს თე-მურელთა საიდუმლოა და, ჩვენც, აბა როგორ გავთქვამთ!

მარშრუტი „ცისკარი“

## „დაჭრილები“ მწყობრს უბრუნდებიან

პიონერთა ოთახში თვალსაჩინო ადგილას თავისებური რუკაა გაკრუ-ლი. მასზე ის სასახელო საქმეებია აღბეჭდილი, რომლებიც ნორჩმა ლუ-სინელებმა სხვადასხვა მარშრუტებზე შეასრულეს. აი, სოფელი ციხისძირი. აქაური სკოლის კარგი მეგობრები არიან ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეები. ეს სოფელი არცთუ ისე ახლოა მათგან, მაგრამ ყოველ საზეიმო შეკრებას ერთად ატარებენ და „ცისკრის“ თამაშიც ერ-თად გამართეს. აბა, რა დაავიწყებთ იმ დღეს, პეტრას ძველისძველ ციხე-სიმაგრეს რომ შეუტიეს ნორჩმა „არ-მიელებმა“!

„ბრძოლა“ დასასრულს უახლოვ-დებოდა, „ლურჯებმა“ მდინარე გა-დალახეს და ის იყო „ყვითლებს“ ზურგში მოექცნენ, რომ მოულოდნე-ლად „მოწინააღმდეგის“ ტყვიამფრ-ქვევი აკაკანდა. თერთმეტი მებრძო-ლი „დაიჭრა“ და, თამაშის წესის მი-ხედვით, მთელი ათეული მწყობრი-დან გამოვიდა. მათი ავტომატები და ხელყუმბარები უკვე არავის არ ემუქ-რებოდა.

გავიდა ნახევარი საათი და მოუ-ლოდნელად „ყვითლების“ შტაბში „ლურჯები“ შეიჭრნენ — ილია წუ-ლუკიძემ, იური ჯახუამ და არჩილ პა-პუნაიშვილმა პეტრას ციხე-სიმაგრე-ზე გამარჯვების ალამიააფრიალეს. შტაბის დამცველი მებრძოლები გა-ოცებული იყვნენ — საიდან გაჩნდ-ნენ „ლურჯებიო“? უცებ მათი პრო-ტესტი გაისმა: — არ ითვლება, ცი-ხე-სიმაგრე მწყობრიდან გამოსულმა „დაჭრილების“ ათეულმა აიღოო.

დიახ, თამაშის მიხედვით, მართლაც ასე მოხდა, მაგრამ ესა თუ ის გარე-მოება ზოგჯერ სამხედრო წესებსაც სცვლის. თურმე „ლურჯების“ ნორჩ სანიტრებს დაჭრილებისათვის ისე კარგად გაუწევიათ „პირველი დახ-მარება“, რომ თამაშის შუამავალმა ექიმებმა გადაწყვიტეს დაჭრილები კვლავ მწყობრში დაებრუნებინათ. აი როგორ აჯობეს „მოწინააღმდეგეს“ „ლურჯების“ ნორჩმა სანიტრებმა!

**მურამ ბახტაძე.**

## მქვია სიმღერა

**ნაზი კილასონია**

თებერვალს მოაქვს
ჩემთან ამბები:
სერზე დასხდნენო
ყოჩივარდები!

მარტმა მიგზავნა
მწვანე ქარები:
ნუ, შემოგევლე,
ნუ მეკარები.
კიდევ ადრეა,
ნუ გამიმეტებ,
ჯერ ტანში ოდნავ
მიდგას სინედლე.
ჯერ ჩუმად ვმღერი
მზეთა ამოსვლას,
ვერ მოვიჩითე
კარგად სამოსი.
სულისდგმავ ჩემო,
მოვა აპრილი,
ფრთებს შეგასხამს და
აჰა, აფრინდი.
გულზე შეგასევს
ჯეჯილს, ბალახებს,
და დედამიწას
ახლად განახებს,
ხელთ ცისარტყელის
მოგცემს გვირგვინებს,
წავა და მთებში
გადაიგრგვინებს.
მე კი დამტოვებს
ქარად, წვიმებად,
გამოღვიძებად
და გაბრწყინებად.

ასე ჯადოქრობს
ჩემით ბუნება,
ასე მპირდება
შემობრუნებას;
მას შემდეგ
ლექსი ასე მიღელავს,
მას შემდეგ
ასე მქვია სიმღერა!

როდამ ჩაჩანიძე

მხატვარი
ჯემალ ლოლუა



# ოთხასმეცხრე ვარიანტი

ფანტასტიკური მოთხრობა

კაპიტანი ნუგზარ რონდელი აღელვებული შევიდა თავის კაიუტაში, საწერ მაგიდასთან დაჯდა და თავზე ხელები შემოიწყო.

სუსტი ზიბი* ნელა არწევდა გემს.

— მითხარით, თქვენ რას ფიქრობთ? გამაგებინეთ თქვენი აზრი. — ეს ისე თქვა, რომ კარისაკენ არც კი შემობრუნებულა.

— საოცარია, ვაერები ისეა გადაჭრილი, გეგონება ეს საქმე ბასრმა მაკრატელმა გააკეთაო, — თქვა შუახნის, ჭარმაგმა კაცმა, კაპიტნის პირველმა თანაშემწემ. იგი კედელში შეჭრილ დიდ კარადასა და საწერ მაგიდას შორის იდგა.

— ესე იგი, ზვიგენებს პირში მაკრატელი ჩაუდვიათ, ანდა კალმარს უსწავლია თავისი მაკრატელა ნისკარტის გამოყენება!

შუახნის კაცი საბანკეტო მაგიდასთან დაჯდა.

— ვერაფერი გამიგია, არასოდეს ვყოფილვარ ასე უმწეო. გესმის, გიორგი, მეოთხე ტრალი დავკარგეთ, — კაპიტანი სკამიანად შემობრუნდა. — ჰო, უკვე მეოთხე ტრალი დავკარგეთ, ოთხი ათას მეტრამდე ვაერი, და ვერაფერი კი ვერ გაგვიგია, რა ხდება ამ დაწყევლილი ოკეანის სიღრმეში.

— ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, ტრალი მარჯნის წყალქვეშა კლდეებს გამოედოო. ასე რომ ყოფილიყო, ჯერ ერთი, ეკრანზე ჩანაწერი გამოჩნდებოდა, მეორეც, ვიგრძნობდით ჩვეულებრივ ძლიერ ბიძგს და ტრალის ნარჩენებსაც ამოვიღებდით. აქ კი ჩანაწერი სუფთაა, ბიძგსაც არა ვგრძნობთ და წყალქვეშ ერთბაშად უჩინარდება ვაერიცა და მთელი სატრალო მოწყობილობაც.

კარზე დააკაკუნეს. ერთი დაბალი, გამხდარი კაცი შემოვიდა.

---

* ზიბი — ტალღები ქარის გარეშე.

— თათბირი იწყება, ამხანაგო კაპიტანო.

კაპიტანმა საათს დახედა.

— ახლავე მოვალ.

კაპიტანი და მისი პირველი თანაშემწე წამოდგნენ, დერეფანი უსიტყვოდ გაიარეს და რადიოკვანძში შეუხვიეს. რადიოკვანძში უკვე ისმოდა რეწვის უფროსის ოდნავ ხრინწშერეული ხმა:

— ლაპარაკობს „ჰ ე რ კ უ ლ ე ს ი“. „ჰერკულესი“ ოთხმოცდამეოთხე კვადრატში მუშაობდა. ბოლო თათბირის შემდეგ სამჯერ ჩავაგდეთ ტრალი. პირველად ამოვიღეთ 15 ტონა თევზი, მეორედ — 17, მესამედ — 3 ტონა. ახლა მივცურავთ ბუიის* დასავლეთით. „ჰერკულესს“ მეტი არაფერი აქვს სათქმელი. ვუსმენთ შემდეგს.

შემდეგ „ანტარესმა“ ილაპარაკა, მერე — „ნადირმა“, „ქართლმა“, „გურიამ“. ეთერში „ალბატროსის“ კაპიტნის ხავერდოვანი, სასიამოვნო ხმა გაისმა:

— „ალბატროსი“ მუშაობდა ოთხასმეთორმეტე კვადრატში. ორჯერ მოვასწარით ტრალის ჩაგდება. პირველად ამოვიღეთ 11 ტონა თევზი — მერლუზა და წითელი კარასი. შიგადაშიგ შავი კარასიც ერია. ოთხასმეთორმეტე კვადრატიდან დავიწიეთ ჩრდილოეთისაკენ. თან მიგვქონდა ტრალი. ოთხასმეცხრე კვადრატზე გავლისას ოკეანეში უცბად გაუჩინარდა ტრალიცა და 600 მეტრი სიგრძის ვაერიც. ბოლოს და ბოლოს გაირკვევა თუ არა, რა ხდება ოთხასმეცხრე კვადრატში?! ახლა ახალ ვაერებს ვახვევთ დამქაჩზე. ვამზადებთ ახალ ტრალსაც.

„ალბატროსის“ შემდეგ „ივერიამ“ ილაპარაკა:

— თხუთმეტი წუთის წინ გავიარეთ ოთხასმეცხრე კვადრატზე. „ალბატროსს“ კარგად ვხედავდით, ჩვენ ერთი მილის დაშორებით მოვცურავდით... ვფიქრობ, ტრალი სავსე იყო, რადგან გემის სიჩქარე ხუთ კვანძამდე დავარდა. მაგრამ სწორედ ამ დროს გემმა ერთბაშად სიმსუბუქე იგრძნო,

* ბუია — წყალში ჩაგდებული სანიშნე.



როდამ ჩაჩანიძის მოთხრობას „ოთხასმეცხრე კვადრატი“ „პ ი ო ნ ე რ ი ს“ კონკურსზე წამახალისებელი პრემია მიენიჭა.

სიჩქარე ისევ თერთმეტ კვანძამდე გაიზარდა, ვაერები კი მოეშვნენ და დაწყვეტილი ბაწრებივით დაეკიდნენ. დამქაჩით მხოლოდ ათას ორასი მეტრი ვაერი ამოვიღეთ, შვიდასი მეტრი ოკეანეში გაქრა. ვაერები გადაჭრილია ბასრი იარაღით. არა მგონია, რომელიმე ცხოველს შესძლებოდა ამის გაკეთება. აქ ადამიანის ხელი ურევია, ისიც უნდა ითქვას: აკუსტიკური ხელსაწყოები არ აღნიშნავდნენ, რომ ჩვენს ქვემოთ რაიმე საეჭვო ხდებოდა.

ამხანაგო ზურაბ, თქვენ, როგორც რეწვის უფროსმა, სასწრაფოდ უნდა იღონოთ რამე. ეს უკვე მეცხრე შემთხვევაა. დღეს კი ორმა გემმა ერთბაშად დაკარგა ტრალიცა და ვაერებიც. „ივერიას“ მეტი სათქმელი არა აქვს, მიკროფონს შემდეგს ვუთმობთ.

ილაპარაკეს „სირიუსმა“, „სარიჩმა“, „სალხინომ“. შემდეგ რაციაში კვლავ ფლაგმანის ხმა გაისმა:

— კარგად გაგიგეთ, ამხანაგო ნუგზარ, მესმის თქვენი გულისწყრომა. რასაკვირველია, გვსურს შევიტყოთ, რა ხდება ოთხასმეცხრე კვადრატში. ამის თაობაზე მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფალთ, ისინიც გაოცებულნი არიან. სამშობლოდან უკვე გამოვითხოვეთ წყალქვეშა ექსპედიცია. სულ რამდენიმე საათის წინ მივიღე რადიოგრამა, ექსპედიციას მალე გამოგიგზავნითო. სანამ წყალქვეშელები არ მოსულან, ოთხასმეცხრე კვადრატს მოვერიდოთ. თევზი სხვა კვადრატებშიც არის. კატეგორიულად ვკრძალავ, ოთხასმეცხრე კვადრატზე ტრალით გავლას.

თათბირის შემდეგ ნუგზარმა „ალბატროსის“ კაპიტანი გამოიძახა.

— ამხანაგო ილია, მაინტერესებს, რა პირობებში დაკარგეთ ტრალი და ვაერები?

— რაცა ვთქვი, იმას ვერაფერს დავუმატებ. ვაერები რომ გადაჭრილია, საეჭვო არ არის. ერთი რამ ცხადია, ამ საქმეში ადამიანის ხელი ურევია. ხომ არ გაჩნდნენ წყალქვეშა მეკობრეები?

— წყალქვეშა მეკობრეები. — ჩაილაპარაკა თავისთვის ნუგზარმა, — ესღა გვაკლდა!

სამი კვირის შემდეგ ნაპირიდან თორმეტი მილის დაშორებით ღუზა ჩაუშვა უზარმაზარმა სამეცნიეროსაკვლევმა გემმა „გეოლოგმა“.

ეთერში მაშინვე გაისმა:

— მე „გეოლოგი“ ვარ, მე „გეოლოგი“ ვარ. „ივერიასა“ და „ალბატროსს“ ვთხოვ მიპასუხონ...

„ივერიის“ რადისტმა მაშინვე უპასუხა:

— „გეოლოგო“, „ივერია“ გისმენთ, გისმენთ „ივერია“!

— სთხოვეთ თქვენს კაპიტანს. ჩვენს კაპიტანს მამუკა ორბელიანს სურს მასთან საუბარი.

— ახლავე, „გეოლოგო“, ახლავე.

— „გეოლოგო“, „ალბატროსი“ გისმენთ.

— თქვენს კაპიტანსაც სთხოვეთ!

— ახლავე, „გეოლოგო“!

ამ დროს ეთერში ნუგზარ რონდელის ბოხი ხმაც გაისმა:

— ამხანაგო მამუკა, ნუგზარ რონდელი გისმენთ.

— ამხანაგო ნუგზარ, ამხანაგო ილია, დაუყოვნებლივ უნდა წამოხვიდეთ ჩემკენ. ვიმყოფები კროსის კონცხის პირდაპირ, ნაპირიდან ზუსტად თორმეტი მილის დაშორებით.

ეს მოხდა დილაადრიან, მეორე საღამოს კი „ივერიის“ ხიდურიდან უკვე კარგად ჩანდა „გეოლოგის“ ფერადი ლამპიონები, გემის უკან გაწოლილი ნამიბის უდაბნოს შავი, მოსაწყენი ზოლი.

„ივერიაცა“ და „ალბატროსიც“ მთელი სვლით მიდიოდნენ „გეოლოგისაკენ“. ოთხი საათის შემდეგ კი „ივერიიდან“ უკვე უშვებდნენ ჰერმეტულად დახურულ მოტორიან ნავს ოკეანეში. ნავში ნუგზარ რონდელი, მისი პირველი თანაშემწე, მეოთხე მექანიკოსი და ბოცმანი ჩასხდნენ. კურსი „გეოლოგისაკენ“ აიღეს. იმავე დროს „ალბატროსმაც“ ჩაუშვა ნავი.

„გეოლოგის“ უკანა გემბანის მარჯვენა მხრიდან კაპრონის ტრაპი დაუშვეს. ნუგზარი სწრაფად მოეკიდა ტრაპს და, სანამ მოტორიანი ნავი პირველ საფეხურამდე ამოყურყუმელავდებოდა, იგი უკვე „გეოლოგის“ გემბანზე აღიოდა. მას კვალდაკვალ პირველი თანაშემწე მიჰყვა. ბოცმანმა და მეოთხე მექანიკოსმა ნავი შემოაბრუნეს და ისევ თავისი გემისაკენ წავიდნენ.

ნუგზარს გემბანზე კაპიტნის უფროსი თანაშემწე ელოდა.

— გამარჯობა, თენგიზ! — ნუგზარმა უფროს თანაშემწეს ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, ამხანაგო ნუგზარ!

მეზღვაურები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— როგორ იმგზავრეთ?

— დიდებულად. ჩინებული ამინდი იდგა. ასე გასინჯეთ, მალტის მიდამოებშიც კი არ უბერავდა. მთელი სვლით მოვდიოდით.

თენგიზი სტუმრებს კაპიტნის კაიუტისაკენ გაუძღვა.

— ჩემს ტკბილ მეგობარს ვახლავარ, — შეეგება მამუკა. წარმოსადეგი ტანის ახალგაზრდა. — დაბრძანდით, დაბრძანდით, [illegible]. და [illegible] რა [illegible] ოთხას[illegible] კვადრატში.

სტუმრები საბანკეტო მაგიდასთან [illegible], [illegible] გამოთქვეს.

— [illegible], რა ხდება ოთხასმეცხრე კვადრატში, — მიუბრუნდა ნუგზარმა. — ფაქტი კი ის არის, რომ, თუ რომელიმე გემმა იქ ტრალით გადაიარა, მაშინვე ტრალიც იკარგება და ვაერებიც. ოთხასმეცხრე კვადრატში არ არის მარჯნის ტყე, არც წყალქვეშა კლდეებია. ასე რომ, ტრალი თითქოსდა არაფერს არ უნდა გამოედოს. ამას გარდა, ტრალის მოწყვეტის დროს არავითარ ბიძგს არა ვგრძნობთ. და, რაც მთავარია, ვაერი გაწყვეტილი კი არა, გადაჭრილია.

— მაინც რა უნდა იყოს? — მამუკამ თვალები ოდნავ მოჭუტა და ყურადღებით მიაჩერდა ნუგზარს.

ნუგზარმა მხრები აიჩეჩა.

— ვერაფერს ვიტყვი, ისე კი, ცხადია, ამ საქმეში ტექნიკა ურევია.

კარზე დააკაკუნეს. „ალბატროსის“ კაპიტანი ილია დავიდოვი შემოვიდა.

— სალამი მეგობრებს!

დავიდოვმა იქ მყოფთ ხელი ჩამოართვა და ისიც მაგიდას მიუჯდა.

— ნუგზარმა ყველაფერი მიამბო, მართლაც საოცარი ამბავია, — მიუბრუნდა მას მამუკა.

— საოცარია, — თქვა დავიდოვმა, — ერთი შემთხვევა რომ იყოს, კიდევ არაფერი. მაგრამ ცხრა უკვე მეტისმეტია. თანაც ერთსა და იმავე კვადრატში.

— ხვალ დილით დავიწყებთ კვადრატის დამუშავებას. თქვენ არ მოგაცდენთ, შეგიძლიათ განაგრძოთ თევზჭერა. კარგად მესმის, თითოეული დაკარგული დღე გეგმიდან ჩამორჩენაა.

— თუ ნებას დამრთავთ, დავრჩები და წყალქვეშა სამუშაოში მივიღებ მონაწილეობას. — თქვა ნუგზარმა. — მამუკა, თქვენ კარგად იცით, მე წყალქვეშეთის სპეციალისტი ვარ.

— დიდი სიამოვნებით. ჩემთვის დიდი პატივია, გამოცდილ წყალქვეშელთან ერთად მუშაობა, — მიუგო მამუკამ.

— ახლავე დავუკავშირდები უფროს თანაშემწეს და გემზე ჩემი არყოფნის დროისათვის კაპიტნობას მას დავავალებ.

— კეთილი.

ნუგზარი გავიდა.

— თქვენც ხომ არ გსურთ, ამხანაგო ილია, დარჩენა?

— სიმართლე რომ გითხრათ სურვილი კი მაქვს, მაგრამ გეგმას ცოტათი ჩამოვრჩები და გემს ვერ დავტოვებ. ახალი ტრალების [illegible] ბევრი დრო დამაკარგვინა. ისე, თუ რაიმე დაგჭირდებათ, თქვენთანა ვარ.

ორი საათის შემდეგ „ალბატროსის“ მოტორიანი ნავი მოშორდა „გეოლოგის“ ქიმს, „ალბატროსის“ კაპიტანი წაიყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი „ივერიის“ მოტორიანმა ნავმა პირველი თანაშემწე წაიყვანა.

„გეოლოგის“ კაპიტნის კაიუტაში დიდხანს ენთო შუქი.

— სამი ბატისკაფი წამოვიღე: ორი — „კოლხიდა 7“ მარკისა, ერთიც კიდევ მძიმე ბატისკაფი — „გოლიათი 4“. ვფიქრობ, რომ გოლიათი, საერთოდ, არ დაგვჭირდება, რადგან მუშაობა 500-700 მეტრის სიღრმეზე მოგვიწევს — ამ სიღრმეებზე შესანიშნავად მუშაობს „კოლხიდა 7“, — თქვა მამუკამ. — ნუგზარ, შენ უხელმძღვანელებ ბატისკაფს. შენთან ერთად ჩაეშვება სამი ამხანაგი: გოგი გიორგაძე, ვალერი ბასილაია და ანდრო გაბოშვილი. სამივენი კარგი მეზღვაურები და წყალქვეშელები არიან. თუ გინდა, ახლავე დავუძახებ და გაგაცნობ.

— არა, დილითაც მოვასწრებთ.

— თქვენთან გვექნება სატელევიზიო და სატელეფონო კავშირი. ყოველ ნახევარ საათში მომაწვდი ცნობებს.

— გასაგებია.

— ახლა კი დავიძინოთ. შენ აგერ, ჩემს საწოლში დაწექი, მე დივანზე დავიძინებ.

დილას მამუკა უფრო ადრე ადგა. მზე ჯერ კიდევ არ ამოწვერილიყო, მაგრამ ცა მთლად ცეცხლისფერი ჩანდა. მის ქვემოთ გაწოლილიყო ყვითელი სილის უსასრულო ზოლი. ცის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, სადღაც შორს, ანტარქტიდის თავზე ეკიდა სამხრეთის ჯვარი.

მამუკამ გემს შემოუარა და მერე ისევ თავის კაიუტას მიაშურა. ნუგზარიც ამდგარიყო. პირი დაებანა და ამას იყარცხნიდა.

კაიუტკომპანიაში ჩაი სწრაფად დალიეს და მაშინვე ხიდურს მიაშუ-



რეს. ხიდურზე უკვე მოსულიყო უფროსი თანაშემწე. ქვევით, ბაკზე კი, ჩაფსკვნილი ბოცმანი დამდგარიყო დამქაჩთან.

უფროსმა თანაშემწემ ხელით ანიშნა ბოცმანს. ბოცმანმა დამქაჩი ჩართო და ღუზის მსხვილმა ჯაჭვმა ზრიალით იწყო ბარაბანზე დახვევა. როცა ღუზა თავის ბუდეში ჩაიმალა, გემი ნელა დაიძრა დასავლეთისაკენ.

კაპიტანმა რადიოთი გოგი გიორგაძე, ვალერი ბასილაია და ანდრო გაბოშვილი გამოიძახა, მერე ნუგზარს ხელი მოჰკიდა და შტურმანთა ოთახში შევიდნენ. იქიდან კი — კაპიტნის კაიუტაში.

მყვინთავები სულ რამდენიმე წუთში გამოცხადდნენ.

— დასხედით, — უთხრა მამუკამ. — ნუგზარ რონდელს იცნობთ ალბათ.

— რასაკვირველია. რონდელს ვინ არ იცნობს, — თქვა გაბოშვილმა. —

— ბატისკაფში თქვენთან ერთად ამხანაგი ნუგზარიც იქნება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მას ვავალებ. სამ საათში ორასმეცხრე კვადრატში ვიქნებით. მოემზადეთ, გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო კაპიტანო.

წყალქვეშელები გავიდნენ.

— ახლა უფროს თანაშემწეს გამოვიძახებ და გრაფიკი შევადგინოთ.

მამუკა გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ უფროს თანაშემწესთან ერთად დაბრუნდა. უფროსმა თანაშემწემ რუკა შემოიტანა და მაგიდაზე გაშალა. კვადრატებად დაყოფილ რუკაზე ორასმეცხრე კვადრატი წითლად შემოეხაზათ.

ნუგზარმა ფანქარი აიღო და წითელ ხაზში ოთხი წერტილი ჩასვა.

— ამ ადგილებში დაიკარგა ტრალი. დანარჩენი ხუთი შემთხვევის ადგილს ზუსტად ვერ გიჩვენებთ, — თქვა მან.

— არა უშავს, ჩვენ მთელ კვადრატს გამოვიკვლევთ. დღე-ღამეში ხუთჯერ ჩაშვებას მოვასწრებთ. ასე რომ, ორ კვირაში გრუნტს დაწვრილებით შევისწავლით. ამხანაგო თენგიზ, — მამუკა უფროს თანაშემწეს მიუბრუნდა. — მოამზადეთ ყველაფერი. მისვლისთანავე ჩავუშვებთ ბატისკაფს.

— გასაგებია, ყველაფერი მზად იქნება.

— ტელეკამერა როგორ მუშაობს? — იკითხა ნუგზარმა.

— შესანიშნავად. ამხანაგო ნუგზარ, ყოველ ნახევარ საათში ტელეფონით მომახსენებთ ოპერაციის მსვლელობას. თქვენს განკარგულებაში იქნება აგრეთვე ორი ზემძლავრი პროჟექტორი — ორმოცდაათ მეტრ რადიუსზე მშვენივრად აშუქებენ.

— ვიცი, მიმუშავია „კოლხიდა 7" ბატისკაფით, — თქვა ნუგზარმა.

— ამხანაგო თენგიზ, თავისუფალი ხართ. იმოქმედეთ.

— ყველაფერი გასაგებია. ორასმეცხრე კვადრატთან მისვლისას ბატისკაფიც მზად იქნება.

უფროსი თანაშემწე გავიდა.

მამუკამ რუკა დაკეცა, მერე კედელზე დაკიდებულ სურათს შეხედა. სურათზე ოთხი ქალთევზა იყო გამოსახული. ისინი ზღვიდან ამოსულიყვნენ და უზარმაზარ ლოდზე ისვენებდნენ.

სურათს ნუგზარმაც შეხედა.

— კარგი სურათია, — თქვა მან.

— ჰო, ეგ სურათი ერთმა ესპანელმა მაჩუქა. მითხრა, ამის დედანი ესპანეთის რომელიღაც გამოქვაბულში ენახეო. უძველეს ადამიანს გამოქვაბულის ერთ კედელზე დაუხატავს ქვაზე მწოლი ზღვის ფერიები.

— საოცარია, საიდან გაჩნდა ადამიანის წარმოდგენაში ზღვის ფერია ასეთი სახით.

— მართლაცდა საოცარია, რატომ მაინცდამაინც ასეთი დახატეს.

— ცოტა წასაუზმება არ გვაწყენდა, — თქვა მამუკამ.

...ის იყო საუზმეს მორჩნენ, რომ კარზე დააკაკუნეს. მეზღვაური შემოვიდა.

— ამხანაგო კაპიტანო, ოთხასმეცხრე კვადრატში მოვედით.

— კარგი. გადაეცი მორიგე შტურმანს, დრეიფში დადგეს. დამხმარე მანქანები გამორთეთ.

— გასაგებია.

მეზღვაური გავიდა.

— წავიდეთ, ნუგზარ!

კაიუტიდან გამოვიდნენ. გრძელ დერეფანს უკანა გემბანისაკენ გაჰყვნენ.

უკანა გემბანზე, ცენტრალური დამქაჩის წინ, „კოლხიდა 7“ მარკის დიდი ბატისკაფი იდგა. ზუსტად მსხლის მოხაზულობისა იყო. ბრტყელი ძირით გემბანს ეყრდნობოდა, ვიწრო თავით კი დამქაჩის ონკანზე იყო ჩამოკიდებული. იქვე მეზღვაურები ფუსფუსებდნენ, უფროსი თანაშემწის განკარგულებებს ასრულებდნენ.

— როგორაა საქმე? — იკითხა მამუკამ.

— ყველაფერი წესრიგშია. — მიუგო უფროსმა თანაშემწემ.

— მზად ხართ? — ახლა ნუგზარს მიუბრუნდა მამუკა.

— მზად გახლავართ.

— აბა, დაიკავეთ ადგილები!

გაბოშვილმა ბატისკაფის ვიწრო ლუკი გამოაღო.

— მობრძანდით, ამხანაგო ნუგზარ.

ნუგზარი პირველი შევიდა ბატისკაფში. შესასვლელი დაბალი იყო და ნუგზარი წელში მოხრილი შევიდა. მას გაბოშვილი, გიორგაძე და ბასილაია მიჰყვნენ. უფროსმა თანაშემწემ თავი შეჰყო შესასვლელში.

— როგორ მოეწყვეთ?

— დიდებულად, — მიუგო გოგი გიორგაძემ.

მერე მამუკამ შეჰყო თავი.

— აბა, უხიფათო მგზავრობასა და წარმატებას გისურვებთ. არ დაგავიწყდეთ ყოველ ნახევარ საათში სატელეფონო კავშირი. გასაგებია?

— გასაგებია.

— დახურეთ ლუკი.

ლუკი ხმაურით მიიხურა.

ნუგზარი ბატისკაფის სქელ მინასთან მივიდა. აქედან კარგად ჩანდა გემბანი, ბატისკაფის წინ მდგარი მეზღვაურები, მამუკა და უფროსი თანაშემწე.

უფროსმა თანაშემწემ ხელი აიქნია და ბატისკაფი ნელა შეირხა. ოდნავ გვერდზე გადაქანდა, ბოლოს გასწორდა და ჰაერში იწყო ასვლა, ნელნელა გადასცდა გემბანს და ახლა ოკეანისაკენ დაეშვა. ტალღები ტყლაშუნით შეესხნენ რკინის ვეება „მსხალს“ და მაშინვე გულში ჩაიკრეს.

ნუგზარი მინის წინ იჯდა ალუმინის მოძრავ სკამზე. ზღვის სამყარო ნელნელა ხსნიდა თავის გულს. დაშვებისთანავე სარდინის უზარმაზარ ქარავანში მოხვდნენ. თევზები მინას ზედ ასკდებოდნენ და მერე აქეთ-იქით იფანტებოდნენ. მსუნაგი ზღვის ლომები გულდაგულ ნავარდობდნენ სარდინის მდინარეში. ხარბად ყლაპავდნენ უმწეო თევზს და შემდეგ ზევით მიცურავდნენ ჰაერის ჩასასუნთქად.

ნუგზარის გვერდით ანდრო გაბოშვილი ჩამოჯდა.

— დიდი გაუმაძღარი ცხოველი კია ეს ზღვის ლომი. ნახეთ, როგორ სანსლავენ საწყალ სარდინს.

— ბუნებამ ყველას არგუნა რაღაც თავდასაცავი იარაღი, სარდინი კი დაავიწყდა.

— მართლაც აგრეა, ამხანაგო ნუგზარ, — თქვა გაბოშვილმა.

სარდინის ქარავანი დამთავრდა. ახლა ბატისკაფი ოცდახუთი მეტრის სიღრმეზე მიცურავდა. მზის სხივები სუსტად აღწევდნენ წყლის სიღრმეში. მინიდან ჩანდა ჩამუქებული, ჭაობისფერი ერთფეროვნება.

— პროჟექტორი არ ჩავრთოთ? — იკითხა გოგი გიორგაძემ.

— დროა, — თქვა ნუგზარმა.

გოგიმ პატარა ღილაკს თითი შეახო. ზუსტად მინის წინ აინთო მძლავრი პროჟექტორი. ნუგზარმა თვალი მოჰკრა უზარმაზარ, ვეშაპისმაგვარ ზვიგენს. შუქის ანთებისთანავე ისე შეკრთა, თითქოს ბარჯი მოხვედროდეს, კუდი მძლავრად მოიქნია და ზევით გაუტია. მის კვალდაკვალ კიდევ ორი კალმარი დააფრთხო შუქმა. საცეცები გაასავსავეს და სიღრმეში გაუჩინარდნენ.

— შეხედეთ, მურენა, — შესძახა გოგიმ. — რამოდენაა!

უზარმაზარი ზღვის გველი სწორედ მინის წინ იკლაკნებოდა, შხამიან კბილებს აჩენდა.

მურენაც მალე გაუჩინარდა. ახლა ოკეანის პატარა ცხოველები მიაცილებდნენ ბატისკაფს.

ნუგზარმა საათს დახედა, მერე ტელეფონის ყურმილი აიღო.

— გისმენთ, რადისტი გივი ჯიბუტი. — გაისმა ყურმილში.

— ვეშვებით ორასი მეტრის სიღრმეზე. ყველაფერი წესრიგშია.

— გასაგებია, ამხანაგო ნუგზარ.

გოგი გიორგაძემ კი სავახტო ჟურნალი გაშალა და ჩაწერა: „12 იანვარი. 11 საათი და 25 წუთი. ბატისკაფი შედის ოკეანის ღრმა შრეებში. ყველაფერი სრულ წესრიგშია. თავს მხნედ ვგრძნობთ“.

რაც უფრო ქვევით ეშვებოდნენ, მით უფრო ნაკლებად ხვდებოდნენ დიდრონ თევზებს. ხანდახან მინასთან მოზრდილი რვაფეხა ან კარიკატიცა თუ გამოჩნდებოდა.

— ტყე, ტყე გამოჩნდა! — შესძახა ანდრომ.

ვალერი ბასილაია მთელი ამ დროის განმავლობაში აპარატურასთან იდგა. თვალყურს ადევნებდა სიღრმემზომისა და ტელეკამერის მუშაობას. ტელეკამერა ჩაშვებისთანავე შეუდგა საქმეს, ზემოთ გადასცემდა კადრებს.

გოგიმ ახლა მეორე, ქვედა პროჟექტორიც ჩართო. ქვევით უზარმაზარი მწვანე ზოლი ჩანდა. წვრილი ფოთლებით შემოსილი გიგანტური ხეების კენწეროები ტალღებივით თანმიმდევრულად და ზანტად ირხეოდნენ.

ბატისკაფი ნელა ჩასრიალდა ამ მწვანე ტალღებში. ექოლოტმა ხეთა მსხვრევის მჭახე ხმა დაიჭირა. ნელ-



ნელა, ძალიან მძიმედ დაეშვნენ ფსკერისაკენ. ირგვლივ ყველაფერი გამოცოცხლდა. ხის ტოტებიდან გარბოდნენ დამფრთხალი ცხოველები.

— უკვე ოკეანის ჯუნგლებში ვართ, — თქვა ანდრომ. — არაფერი არ მიყვარს ისე, როგორც ეს ჯუნგლები. ამაზე ლამაზი ნეტავ თუ კიდევ არსებობს რაიმე.

ამის თქმა იყო და, ბატისკაფი მძიმედ შეირხა. ერთბაშად ჩაბნელდა. ნუგზარს სკამი გამოეცალა და იატაკზე დავარდა.

— რა მოხდა? — იკითხა გიორგაძემ.

— ვერაფერი გამიგია, მგონი გვარლი გაწყდა, ახლავე სათადარიგო ბატარეას ჩავრთავ, ხომ არავინ დაშავებულა? — იკითხა ვალერი ბასილაიამ.

მე გადავრჩი. — ეს ანდროს ხმა იყო, — თქვენ როგორ ხართ, ამხანაგო ნუგზარ?

— იატაკზე ვაგდივარ.

ბატისკაფი მძლავრად შეირყა და ოდნავ გადაყირავდა.

— გრუნტზე დავჯექით, მაგრამ ვაი ამ დაჯდომას! — ჩაილაპარაკა გოგიმ.

— ახლავე სათადარიგო ბატარეას ჩავრთავ, — თქვა ვალერიმ.

ბატისკაფი ისევ განათდა, პროჟექტორიც აინთო. ნუგზარმა ტელეფონის ყურმილი აიღო.

— გადაჭრეს, ისევ გადაჭრეს... — შეჰყვირა მან. — დიახ, გვარლი თავისით არაფრისდიდებით არ გაწყდებოდა. აქ ადამიანის ხელი ურევია. გოგი, დაწერე წერილი, ჩაუშვი ბურთში და აგზავნე ზევით. თუმცა, მოიცა, მე დავწერ, შენ კი სავახტო ჟურნალი შეავსე.

ნუგზარმა ფურცელი აიღო და კალამი მოიმარჯვა.

„ამხანაგო მამუკა, გვარლი გადაჭრილია, ჩვენ ვიმყოფებით, — სიღრმის მზომს შეხედა, — 657 მეტრის სიღრმეზე, ოკეანისქვეშა ტყეში".

ბარათი გოგის გადასცა. გოგიმ დაკეცა და ჟანგბადიან ბურთში ჩადო. შემდეგ ლუკი გახსნა. ბურთი პატარა ყუთში შედო. ლუკი ისევ დახურა, ღილაკს თითი დააჭირა. ლუკი ახლა გარედან გაიხსნა და ბურთიც ზევით წავიდა.

— სულ ცოტა, ოცდაათ საათს გავძლებთ, — თქვა ვალერიმ, — ტრიუმში გვაქვს შეკუმშული ჟანგბადის მარაგი.

უცებ ვალერი სკამიდან ჩამოხტა.

— იცით, რა მაკვირვებს? ნუთუ ჟანგბადსადენი მილი არაა გადაჭრილი?! გადაჭრილი რომ იყოს, წყალი შემოიჭრებოდა.

— გადაჭრილია, — ცივად უპასუხა ნუგზარმა და მინის წინ დაგდებულ გვარლსა და ჟანგბადსადენს შეხედა.

ვალერიმაც იქით გაიხედა.

— მაშ წყალი რატომ არ შემოიჭრა?

— იმიტომ, რომ, ვინც გვარლი გადაჭრა, ჟანგბადსადენი დახურა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დახოცვა მათ პროგრამაში არ შედის.

— საოცარია.

— დიახ, ყოველივე ეს საოცარიცაა და ძალიან უხამსი ხუმრობაც. მაგრამ ახლა საჭიროა ფრთხილად ვიმოქმედოთ. ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით პროჟექტორი გამოვრთოთ.

ის იყო, ვალერიმ პროჟექტორი გამორთო, რომ ბატისკაფი შეინძრა, ნელ-ნელა გასწორდა.

— ასე მგონია, მივდივართ, — თქვა ვალერიმ.

— დიახ, ჩვენ მართლაც მივდივართ, — დაუდასტურა ნუგზარმა.

ანდრო გაბოშვილმა შიშით შეხედა ნუგზარს.

— კი მაგრამ, საით მივდივართ?

— აი, მაგას კი ვერ გეტყვი. ვალერი, პროჟექტორი აანთე!

პროჟექტორი აინთო. მინის ფართო ეკრანზე გამოჩნდა ტყე, უზარმაზარი ხეები, ჩაგრეხილ-ჩახვეული ლიანები.

— შეხედეთ, ტყეში გზა გადის! — დაიძახა ანდრომ. ბატისკაფი მართლაც ტყეში გაყვანილ მოასფალტებულ გზაზე მიირწეოდა.

— აქ ადამიანის ხელი ურევია, — ნუგზარი მინასთან ახლოს მივიდა. — ხედავთ, რა ლარივით გზაა?

ტყე გათავდა. სულ ტრიალი ველი დაიწყო, მობიბინე მწვანე ბალახით დაფარული ველი. ველის ბო-

…ოს რაღაც უზარმაზარი შენობა გამოჩნდა.

ბატისკაფი ზუსტად ამ შენობისაკენ მიდიოდა. როგორც კი მის ერთ კედელს შეეხო, კედელი გაიხსნა. ბატისკაფი ნელა შეცურდა შენობაში, კედელი უხმაუროდ დაიხურა, ბატისკაფი კი ფრთხილად დაჯდა იატაკზე.

— დიახ, ჩვენ ადამიანების ტყვეები ვართ, — თქვა ვალერიმ.

— აქ ალბათ სამხრეთ აფრიკელებს აქვთ საიდუმლო წყალქვეშა სადგური, — ჩაილაპარაკა ანდრომ.

უცებ ზარმა დაიწკრიალა და ქალის სასიამოვნო ხმაც გაისმა:

— ხმელეთის ადამიანებო! თქვენ ამიტთა ტყვე ხართ. შეგიძლიათ გაალოთ ბატისკაფი და გამოხვიდეთ. ნუ გეშინიათ, ამ დარბაზში საკმარისადაა ჟანგბადი.

— გაგიგიათ როდისმე ამიტები? — იყვირა გოგი გიორგაძემ, — ან საიდან იციან მათ ქართული?

— გახსენით ლუკი! — ბრძანა ნუგზარმა.

ლუკი ხმაურით გაიღო. სუფთა, გრილი ჰაერი შემოიჭრა ბატისკაფში. გამოსვლას ვერცერთი ვერ ბედავდა. ისევ გაისმა ქალის ხმა:

— გამობრძანდით გაბედულად. არავითარი საფრთხე არ გემუქრებათ.

პირველი ნუგზარი გამოვიდა. მას სხვებიც მიჰყვნენ.

იატაკზე რაღაც ლურჯი, ბრჭყვიალა პლასტიკატისმაგვარი ეგო. სამ კედელს ასეთივე პლასტიკატი ფარავდა. მეოთხე სულ მინისა იყო. მინის იქით მწვანით დაფარული ოკეანის ფსკერი ჩანდა. ფსკერზე გიგანტური კიბორჩხალები დაცოცავდნენ, ჯავშანში ჩაძმული მახინჯი მარწუხებით წყვეტდნენ მწვანე ფოთლებს და პირისაკენ მიაქანებდნენ.

კიბორჩხალების გვერდით ლანგუსტები, კრევეტები დახოხავდნენ. ერთი ძალზე ლამაზი, უზარმაზარი ომარი კი ბუჩქზე შემომჯდარიყო და მადიანად საუზმობდა. მერე დაფრთხა, საუზმე მიატოვა და ბუჩქებში ჩაიმალა. ბუჩქთან კოხტა ქალიშვილი გამოჩნდა. ოდნავ ხვეული, ჩალისფერი თმა უკან გადაევარცხნა. საოცარი იყო, რომ ვარცხნილობა წყალში არ იშლებოდა. ქალიშვილს ლამაზი სახე და მოქნილი ტანი ჰქონდა. ქალი ზედ მინასთან მოცურდა. ნუგზარმა დაინახა, რომ ქალიშვილმა გულკეთილად გაიღიმა და ხელი დაუქნია.

— თუ ამისი ტყვე ვართ, არაფერი გვიჭირს, — თქვა ანდრომ.

— შეამჩნიეთ თითებს შორის თხელი აპკი რომ აქვს? — წამოიძახა გოგიმ.

— ალბათ საცურაო ხელთათმანი აცვია, — ჩაილაპარაკა ვალერიმ.

ქალიშვილი გაუჩინარდა. მერე დარბაზის პატარა კარი გაიღო და ისევ გამოჩნდა. ლურჯი, მოკლე შარვალი და მოკლესახელოებიანი მაისური ეცვა. პირზე პატარა, მრგვალი აპარატი მიემაგრებინა.

— გამარჯობათ- — თქვა მან. — ეტყობოდა გაიღიმა კიდეც — თვალები აუციმციმდა.

— გთხოვთ გაგვაგებინოთ, სად ვართ? — იკითხა ნუგზარმა.

— თქვენ ამიტთა ტყვე ხართ.

— ასეთ ხალხს არ ვიცნობთ.

— დიახ, თქვენ ჯერ არ იცნობთ მათ. ამიტები ოკეანის ფსკერზე ცხოვრობენ. ადრე ჩვენ 2000 მეტრ სიღრმეზე მდებარე სივრცეს ვფლობდით. ახლა უფრო ნაკლები სიღრმეების ათვისება დავიწყეთ. მე თარჯიმანი გახლავართ. ვლაპარაკობ ქართულ, ესპანურ, ამიტურ და აფრიკანულ ენებზე.

ნუგზარის თვალებში შიში, უსაზღვრო გაოცება და მოკრძალება ერთად აირეკლა.

— ეს შეუძლებელია!

ქალიშვილს თვალები აუციმციმდა.

— რა არის შეუძლებელი? ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც თქვენ. ვშრომობთ, დავდივართ, ვსუნთქავთ, ოღონდ ეგ არის, ცოტა სხვანაირად ვსუნთქავთ, ჩვენ წყლიდან ვიღებთ ჟანგბადს. თქვენსავით ვფიქრობთ და ვოცნებობთ, გვაქვს ქალაქები. ახლა კი მინდა გაგიმასპინძლდეთ. მობრძანდით!

ქალიშვილი კარისაკენ წავიდა. ყველანი უკან მიჰყვნენ. კარი თითის შეხებით გააღო. ახლა აშკარად დაინახა ნუგზარმა, რომ ქალს თითებს შორის თხელი აპკი ჰქონდა. ხელთათმანი კი არა, ნამდვილი აპკი იყო.

მომცრო დარბაზში შევიდნენ. შუა დარბაზში მაგიდაზე მოხარშული კრევეტები, ლანგუსტი, ფხალი და ოთხი ცალი მერლუზა ეწყო.

— მგონი, ასეთი სუფრით უკმაყოფილო არ დარჩებით, — თქვა ქალიშვილმა.

— რასაკვირველია, — მაშინვე დაეთანხმა ნუგზარი. — იქნებ სახელიც გვითხრათ, თუ ეს რაიმე საიდუმლოებასთან არ არის დაკავშირებული.

— კადილას მეძახიან, ვცხოვრობ ქალაქ ამიხოტში. მყავს ორი და, ერთიც ძმა. გათხოვილი არ გახლავართ, ეგ არის და ეგ.



— ქართული როგორ შეისწავლეთ?

— ვიწერთ ხმელეთის ადამიანთა საუბარს. შედგენილი გვაქვს უამრავი ლექსიკონი, ვუყურებთ თქვენს ყველა ტელეგადაცემას, ვუსმენთ რადიოგადაცემას და ყოველ ინფორმაციას. ასე რომ, თქვენი ასავალ-დასავალი ვიცით. ახლა ცოტა ხნით დაგტოვებთ, ისადილეთ.

ქალიშვილი დარბაზიდან გავიდა. წყალქვეშელებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.

— გჯერათ ეს ზღაპარი? — იკითხა ვალერიმ. — რის ამიტები, რა ამიტები! სამხრეთ აფრიკელები არიან და ახლა გვაბიაბრუებენ.

— მე კი კარგახანია მჯერა, რომ ოკეანის ფსკერზე იქნებოდნენ ადამიანები, ან ადამიანის მსგავსი ცხოველები, — თქვა ნუგზარმა, — ხომ არსებობს ოკეანის ცხენი, სპილო, ვეფხვი, კატა, კიტრი, კომბოსტო, მწვანილი. მაშ რატომ არ შეიძლება ადამიანიც არსებობდეს. ჩვენი წინაპრები ხომ ხატავდნენ ზღვის ფერიებს, ქალთევზებს. ეს შემთხვევითი როდია. მიფიქრია კიდეც, რომ ტრალების დაკარგვის საქმეში წყალქვეშა ადამიანის ხელი ერია.

— არ ვიცი, ჩემთვის წარმოუდგენელია ეს ამბავი, — ჯიუტად თქვა ვალერიმ.

— ყველაფერს დრო გვეტყვის, თუ ამიტებმა ჩვენი მოსპობა არ გადაწყვიტეს. ჯერჯერობით კი საქმეს ცუდი პირი არ უჩანს. დიდებული სადილი მოგვიმზადეს. რას ვუცდით, ვისადილოთ.

სადილს მორჩნენ თუ არა, კარი გაიღო და კადილა შემოვიდა.

— კიდევ ხომ არ ინებებდით რაიმეს?

— არა, მადიანათ გეახელით. ახლა კი სიამოვნებით დავბრუნდებოდით ჩვენ გემზე, — მიუგო გოგი გიორგაძემ.

ნუგზარმა კადილას შეხედა. კადილამ სერიოზული იერი მიიღო, მაგრამ არაფერი არა თქვა.

ნუგზარი მაშინვე მიხვდა, გემზე დაბრუნება ძალზე შორეული ამბავი იყო, ან სულაც შეუძლებელი. და მოიწყინა. კადილამ ეს შეამჩნია.

— ახლა სურათების გალერეა დავათვალიეროთ. გაგაცნობთ ჩვენს მხატვრობას. წამობრძანდით.

კადილამ კარი გააღო და დიდ დარბაზში გავიდნენ. დარბაზის კედლებზე უამრავი სურათი ეკიდა. შუა ადგილას კი ერთი მოზრდილი ტილო ჩანდა.

— ეს ჩვენი დედაქალაქი ამიხოტია. სურათი ცნობილმა მხატვარმა კასინამ დახატა. ამ კედელზე სულ კასინას ნახატებია. აი, მისი „მძინარე მზეთუნახავი".

— ლამაზი ქალიშვილია, — თქვა ნუგზარმა.

— დიახ, ლამაზია.

კადილა ახლა მეორე სურათთან გაჩერდა.

— ამ სურათს „ომი" ჰქვია. ამიტები ებრძვიან თევზკაცებს. თევზკაცები დიდი ხნის წინათ, სამი ათას მეტრ სიღრმეზე ცხოვრობდნენ. კარგი მეომრები იყვნენ და ხშირად თავს გვესხმოდნენ. ბოლოს და ბოლოს ვაჯობეთ და ამოვწყვიტეთ. ცოტანიღა დარჩნენ და ისინი ამჟამად ოკეანის ღრმა ჯუნგლებში ცხოვრობენ.

ჩაუარეს სურათებიან კედლებს. კადილამ თითი შეახო მომცრო კარს, გააღო და ახლა მოზრდილ ოთახში გავიდნენ. ოთახში გრძელი მაგიდა, ოთხი დივანი და ოთხი სკამი იდგა. ოთახის ერთი კედელი მთლიანად მინისა იყო. მინის იქით პროჟექტორის მკრთალ შუქზე ჩანდა წყალქვეშა ველი. ნუგზარმა შეამჩნია, მაგიდაზე ერთადერთი სქელი წიგნი იდო. კადილამ წიგნი აიღო და ნუგზარს გაუწოდა.

— ინებეთ! ამიტურ-ქართული ლექსიკონია, იქნებ დაგჭირდეთ.

ნუგზარმა წიგნი ჩამოართვა და გადაფურცლა.

ბიჭოს, ამიტური შრიფტი ჩვენებურის მსგავსი ყოფილა.

— დიახ, ოდნავ ჰგავს. ახლა მე დაგტოვებთ, ამიხოტში მიმეჩქარება, გვიან დავბრუნდები. ჩემს მოსვლამდე დაისვენეთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.



## ტყე-ჩვენი ლაზათი

**ქეთევან მიქაძე**

დილას, როდესაც მზე სხივებს გაშლის,  
ირემი ჩახედავს თავის თავს ტბაში  
ტყე ვეღარ იტევს სიხარულს მაშინ;  
და როს ბულბული გალობას იწყებს —  
ტყე ხვდება მგოსანს  
ფოთლების ტაშით.  
ტყე ხან გუგუნებს,  
ხან კი წყნარდება  
ისე, რომ იის სუნთქვაც კი ისმის.  
აქ ხეა ბლომად წაბლის და იფნის,  
ჩაფიქრებული მუხა წლებს ითვლის.  
ტყე თავის ვარამს არასდროს ამხელს,  
ქართან ბრძოლაში ღამეებს ათევს.  
როს მზე სხივებით მიდამოს ქარგავს,  
ტყე დაგვაბერტყავს ჩრდილსავსე კალთას;  
ნიავი ჰყვება ტყუილს და მართალს,  
მისი ჩურჩული  
გულამდე ატანს.  
ტყე აჩუხჩუხებს ცივ წყაროს რამდენს,  
პეშვით სთავაზობს დასიცხულ გამვლელს.  
მიწის აკვანში  
ლაღად ნაზარდი,  
ტყე არის ჩვენი შნო და ლაზათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლეგ ტიხომიროვი

# სანიტარი

მხატვარი დიმიტრი ერისთავი

ქვემოთ ვაქვეყნებთ ნაწყვეტს ოლეგ ტიხომიროვის მოთხრობიდან „კალია“. მოთხრობა „კალია“ ალიოშა კუზნეცოვს ეძღვნება. იგი, 1917 წლის ოქტომბრის დღეებში, 15 წლისა, გმირულად დაიღუპა მოსკოვის ბარიკადებზე. მისი სახელი სამუდამოდ არის შეტანილი ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საპატიო წიგნში.

ალიოშა ღარიბ ოჯახში იზრდებოდა. სულ პატარას უხდებოდა ლუკმაპურისთვის შრომა. 1915 წელს მან მოახერხა რუსეთ-გერმანიის ფრონტზე მოხვედრა. თითქმის ორი წელი იბრძოდა. მაგრამ ერთ-ერთ ღამის ბრძოლაში დაიჭრა, რის შემდეგაც იძულებული გახდა მოსკოვში დაბრუნებულიყო. აქ ალიოშა დაუახლოვდა ბოლშევიკებს, ეხმარებოდა მათ იატაკქვეშა საქმიანობაში.

და აი, იფეთქა ოქტომბრის რევოლუციამ. მოსკოვის ქუჩებში გაჩაღდა ბრძოლები. ალიოშა ცდილობს მოხვდეს „მფრინავ“ სანიტარულ რაზმში, რომელშიც მისი უფროსი და ლენა მუშაობს. „მფრინავი“ ხომ ყოველთვის იქ არის, სადაც ყველაზე მეტად ჭირს, სადაც ყველაზე გაცხარებული ბრძოლაა.

ამ დღის ამბები ალიოშას თვალწინ ისეთი სისწრაფით იცვლებოდა, რომ ბიჭს ხანდახან ეგონა, თვითონ ის კი არ იყო ამ ამბების მონაწილე, არამედ ვიღაც სხვა, მისი მსგავსი. თვითონ ალიოშა კი ყველაფერ ამას შორიდან უყურებს, თითქოს გაქროლებული მატარებლის სარკმლიდან უცქერის.

წვიმიანმა მოღრუბლულმა დილამ ზაჩატაევის მონასტრის ეკლესიასთან მოუსწრო, სადაც სანიტარული რაზმის მებრძოლები იყრიდნენ თავს.

სროლა სხვადასხვა მხრიდან ისმოდა. რამდენჯერმე ტყვია სამრეკლოს ზარს მოხვდა. „ძინ...ძინ“ — გამოსცა ზარმა ხმა. აბა რას დააკლებდნენ მას ეს ტყვიები!

პირველად ლენას არ უნდოდა ალიოშას წაყვანა. სთხოვდა შინ დარჩიო, მაგრამ ბიჭმა მაინც არ დაუჯერა, უთხრა, სულ ერთია მაინც წავალო, და მოითხოვდა, მეც მომეცით ასეთი წითელჯვრიანი ჩანთაო.

ასეთი ჩანთა არ აღმოჩნდა. ლენამ მას მკლავზე თეთრი სახვევი გაუკეთა და ზედ წითელი ჯვარი დაუკერა. ხოლო, როცა ყველა სანიტარმა მოიყარა თავი, ალიოშას ზოგმა ბამბა მისცა, ზოგმა ბანდი და შუშით იოდი. მან ყველაფერი ეს სქელ ქაღალდში შეახვია, იღლიაში ამოიჩარა და ასე დარბოდა მთელი დღე.

პირველ დაჭრილს ყირიმის მოედანთან წააწყდნენ. იგი ზედ სახლის კედელთან მიწოლილიყო, წყნარად კვნესოდა და ეგეონებოდა, სანიტარებს ყურადღებას არც კი აქცევსო. მარჯვენა ფერდში იყო დაჭრილი. ჭრილობა სასწრაფოდ შეუხვიეს და წაიყვანეს. ვიდრე ჰოსპიტალში მიიყვანდნენ, სიტყვა არ უთქვამს, მხოლოდ კვნესოდა და ყველას დაბინდული, უაზრო თვალებით შესცქეროდა...

მერე კი სულ უფრო იმატა დაჭრილთა რიცხვმა...

მძიმედ დაჭრილები... მსუბუქად დაჭრილები...

ზოგი კვნესოდა, ზოგი სულაც გონდაკარგული იყო. ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ ეხუმრათ კიდეც...

ვიღაც თავში დაჭრილი ყმაწვილი ალიოშას სულ ვასიატკას ეძახდა. ალიოშამ გაუსწორა — უთხრა თავისი სახელი, იმან კი მაინც არ დაიშალა: „ვასიატკა და ვასიატკა“.

მერე ალიოშა მოსწყდა თავის სანიტარულ საქმიანობას: ერთ ადგილას სთხოვეს სანგრის გათხრაში მოგვეხმარეო და ბარი მიაჩეჩეს. ირგვლივ ტყვიები წიოდა. ყველანი ერთმანეთს აჩქარებდნენ, ყვიროდნენ: „აბა ჩქარა, სწრაფად“. მაგრამ ეს სულ ზედმეტი იყო. ისედაც ყველა ჩქარობდა, როგორც შეეძლო: რაც უფრო ღრმად ჩადიხარ მიწაში, მით უფრო ნაკლებად საშიშია ტყვია. განსაკუთრებით ჩქარობდა ერთი შავკარტუზიანი კაცი. ის ყველაზე მეტს ყვიროდა. უცებ რაღაცას ფეხი წამოჰკრა, წაბორძიკდა და პირქვე ჩაემხო რბილ მიწაში. კარტუზი რამდენიმე ნაბიჯზე გადავარდა. კაცი არ დგებოდა. ალიოშა წავიდა, კარტუზი აიღო, იმ კაცს მიუტანა და უთხრა:

— ადექით!

ის ხმას არ იღებდა. ალიოშამ გადმოაბრუნა. კაცი უკვე აღარ სუნთქავდა. ტყვია პირში მოხვედროდა.

ლენა ხან დაიკარგებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა, გაიელვებდა მისი წითელჯვრიანი ჩანთა.

შორიახლოს სროლა აღარ ისმოდა. სამაგიეროდ, ამბობდნენ, ზუბოვსკაიასთან გაჩაღდა ბრძოლაო. ალიოშა იქით გაიქცა.

— ეი! ეი, სანიტარო! — დაიძახა ვიღაცამ.

ალიოშა უცებ ვერც კი მიხვდა, რომ მას ეძახდნენ: როცა შემობრუნდა, დაინახა კაცი, რომელიც ცალფეხზე ხტოდა ყრუ ღობესთან, სწორედ ის ეძახდა, ის უქნევდა ხელს:

— აქეთ, სანიტარო, აქეთ!.. — კიდევ უფრო აჩქარებით დაიწყო ხელის ქნევა კაცმა და ალიოშასკენ რამდენიმე ნაბიჯი ხტუნვით გადმოდგა.

ალიოშა მივიდა მასთან. ბანდი და იოდი ამოიღო. დაჭრილმა უთხრა:

— მერე შემიხვევ, ახლა კი მხარი მიმარჯვე, რომ დაგეყრდნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმედ დააწვა ალიოშას მხარს და შეეცადა ევლო. გაუჭირდა, მწარედ დაიკვნესა.

— მოდით შეგიხვევთ, — შესთავაზა ისევ ალიოშამ.

— არა, ახლა არა... მერე... აქ ისვრიან, ხომ გესმის!

— არა უშავს, — უთხრა ალიოშამ. — შეგიხვევთ...

და სწორედ ამ დროს ვიღაცამ ერთბაშად გამოაცალა იღლიიდან შეხვეული. ალიოშა შემობრუნდა — არავინ იყო.

„ეტყობა ტყვია იყო“, — მიხვდა ბიჭი.

— შენ რა? — ჰკითხა დაჭრილმა, მაგრამ უმალვე იაზრა ყველაფერი და პასუხისთვის არ მოუცდია, ისე შესძახა:

— დაწექი!

ალიოშა უცებ დაწვა, რაზმელი კი ჯერ ოთხზე დადგა და მერე ნელ-ნელა გადაწვა მარცხენა მხარეს. ალიოშას უნდოდა დახმარებოდა, მაგრამ დაჭრილმა უთხრა:

— არ გინდა.

— გავცოცდეთ?

— არ შემიძლია.

— კი მაგრამ, ხტომით სიარული ხომ შეგიძლიათ! — გაოცდა ალიოშა.

— ხტომა კიდევ შემიძლია; აქ მოდი, შემიხვიე.

ალიოშამ ფრთხილად გახსნა შეკვრა. ეშინოდა იოდის

ძლივსძლივობით გაიარეს ერთი ქუჩა. დაჭრილი მალე დაიღალა, ბანდი მთლად სისხლით გაიჟღინთა.

ქუჩის ბოლოში, ზედ სასურსათო მაღაზიასთან, ისევ აუტეხეს სროლა. არსად იყო თავის შესაფარებელი: ღია ადგილი იყო, ხელისგულივით გადაშლილი.

ალიოშა და რაზმელი რის ვაი-ვაგლახით ამოეფარნენ სახლის კედლის პატარა შვერილს, ცივ აგურებს აეკვრნენ.

— ეჰ, ერთი გამაბოლებინა! — თქვა დაჭრილმა ქშენით.

ალიოშას თუთუნი არ ჰქონდა, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ეთქვა დაჭრილის დასამშვიდებლად:

— ცოტა მოითმინე და ყველაფერს მოასწრებ.

— მოასწრებ, როგორ არა! — ამოიხვნეშა დაჭრილმა.

სახე მთლად გადატეტკილი ჰქონდა, ტუჩები — ჩალურჯებული.

— მკლავზე სახვევი რომ გაქვს, მოიხსენი, ხომ ხედავ, მაგით რა საჩინონი ვართ.

ალიოშამ სახვევი მოიხსნა და ჯიბეში შეინახა.

— რა გქვია? — ჰკითხა დაჭრილმა.

— ალიოშა.

— მე კი — კუზმა. ძია კუზია, ესე იგი...

— გასაგებია.



შუშა არ ყოფილიყო გატეხილი, მაგრამ ის მთელი აღმოჩნდა. ეტყობა ასცდენოდა ტყვია.

— რაც შეგიძლია მაგრად შემიხვიე, — სთხოვა დაჭრილმა.

— ჰო.

— ესეც ასე! — თქვა დაჭრილმა და გაფითრდა, მერე, ეტყობა, გულის გადასაყოლებლად ჰკითხა: — დღეს ბევრი იყო დაჭრილი?

— ბევრი.

— აბა ავდგეთ, აქ წოლა რას გვარგია.

— დაიხსომე. ჩემი გვარიც დაიხსომე. სუმიატინი ვარ, გესმის?

— ეგ არ არის ძნელი საქმე. მაგის დახსომებას რა უნდა!

— მე შენ სერიოზულად გეუბნები.

— თქვენ რა, სასიკვდილოდ ხომ არ ემზადებით, ძია კუზია? — ალიოშას უნდოდა მისი გამხნევება, მაგრამ ხუმრობა არ გამოუვიდა.

— თავბრუ მეხვევა... ფეხზე ძლივს ვდგავარ.

— უფრო მაგრად დამეყრდენით. — უთხრა ალიოშამ, თუმცა დაჭრილი თითქმის ეკიდა მის მხრებზე.

— სულ ერთია, არ გადავრჩები... არაქათი აღარა მაქვს... შენ წადი, გესმის!

ალიოშას უნდოდა ეთქვა, არსადაც არ წავალო, რომ არა ვარ ისეთი ადამიანი, კაცი გასაჭირში მივატოვოო, მაგრამ ესღა უთხრა:

— კარგი, გეყოფათ!

— აჰა, გამომართვი, — სუმიატინმა ალიოშას რევოლვერი გაუწოდა. — მძიმეა ეგ ოხერი...

ალიოშამ ჩამოართვა. გასინჯა, შიგ ტყვიები არ იყო. რევოლვერი უბეში ჩაიდო.

სადღაც გვერდით ტყვიები ტკაცუნით ერჭობოდნენ კედელში და ირგვლივ აგურის ნამსხვრევები ცვიოდა.

„მიზანში გვიღებენ, ძაღლები! — გაიფიქრა ალიოშამ. მასაც უკვე ძალა ელეოდა, აღარ შეეძლო დაჭრილის შემაგრება. მაგრამ დაწოლაც რომ არ შეიძლებოდა! — ამ წყეულ შვერილს ვერაფრით ვერ მოშორდები, მაშინვე დაგინახავენ“.

და იმ დროს, როცა უკვე მთლად მოიკაკვა სუმიატინის სიმძიმისაგან, და თავში მხოლოდ ერთადერთი აზრიღა უტრიალებდა: „არ დავეცე... ოღონდ არ დავეცე... არ დავეცე“... — ერთბაშად ადამიანის შავმა ჩრდილმა გაიელვა, მათ კედელს მოაწყდა, დაჭრილს მეორე მხრიდან ამოუდგა და შესძახა:

— ჩქარა!

ალიოშა მას ვერ ხედავდა, მხოლოდ იგრძნო, რომ სუმიატინის შემაგრება გაუადვილდა.

— ჩქარა, — გაიმეორა კაცმა და ალიოშა მხოლოდ ახლა, ხმაზე მიხვდა, რომ მოსული ქალი იყო.

— სად წავიყვანოთ? — თქვა ალიოშამ, — ხომ ხედავთ, რა სროლაა.

— არა უშავს. მე აქვე ვცხოვრობ. — მან უახლოეს კარებზე მიუთითა.

იმ კარებამდე მართლაც ორმოციოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა. მაგრამ ეყოფათ კი ძალა სუმიატინის იქამდე მისათრევად? დაყოვნება შეუძლებელი იყო. ტყვია განუწყვეტლივ წიოდა ირგვლივ.

ამასობაში დაჭრილი გონს კარგავდა.

— ძია კუზია, — ალიოშამ ცალი ხელი გაითავისუფლა და სუმიატინი შეანჯღრია, — ძია კუზია, ცოტა კიდევ უნდა გაუძლო. აი, იმ კარამდე უნდა მივიდეთ როგორმე...

ქალმაც თქვა:

— გამაგრდი, ძვირფასო!

— ჰო — წამოიღუღლუღა სუმიატინმა და კრიჭა შეეკრა.



* * *

ანა ივანოვნა — ასე ერქვა ქალს, რომელიც ალიოშას დაჭრილის გადმოყვანაში დაეხმარა — მესამე სართულზე ცხოვრობდა, სხვენს ქვემოთ.

სუმიატინი რომ შემოიყვანეს და ლოგინზე დააწვინეს, ალიოშა მოცელილივით დაეშვა ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე და ერთხანს ასე, გაუნძრევლად იჯდა, ხმას არ იღებდა.

თვალები უჭრელდებოდა, ფეხქვეშ იატაკი ირწეოდა, ყურებში სროლის ხმა ედგა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა მას ჯერ თვითონაც ვერ გაეგო ხეირიანად, როგორ მოახერხეს სუმიატინის აქ მოყვანა, როგორ დაუძვრნენ ტყვიებს, როგორ ამოაღწიეს ამ სიმაღლე ვიწრო კიბეზე.

მადლობა ღმერთს, ყველაფერმა ჩაიარა. ალიოშამ თავი ასწია, მიმოიხედა.

დიასახლისი კუთხეში, ტაბურეტზე იჯდა, დუმდა, სჩანდა, ჯერ ისიც ვერ დამშვიდებულიყო. სუმიატინი თვალებდახუჭული იწვა. რაღაცას ბუტბუტებდა. „ალბათ ბოდავს“ — გაიფიქრა ალიოშამ.

ოთახის თითქმის ნახევარი ძველ, დაბრეცილ კარადას ეჭირა. დამრეც ჭერზე, ნაცრისფერი ქაღალდი რომ იყო აკრული, აქა-იქ წვიმის ლაქები აჩნდა, ეტყობა, სახურავიდან ჟონავდა. კართან ახლოს იდგა რკინის ღუმელი. ფანჯრის რაფაზე წითლად ყვაოდა ნემსიწვერა.

ალიოშამ ფანჯარაში გაიხედა. ფანჯარა სწორედ იმ ქუჩაზე გადიოდა, რომელზეც მათ ახლა გამოაღწიეს. ზედ სახლის პირდაპირ ვიწრო შესახვევი იყო. იქ არ ისროდნენ, მაგრამ გამვლელები, კანტიკუნტად რომ გამოჩნდებოდნენ ხოლმე, სირბილით გადადიოდნენ ერთი სახლიდან მეორემდე. ახლა ქუჩაში ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

ამასობაში ქალი ღუმელთან მივიდა, რაღაცას სახურავი ახადა და ბიჭს ჰკითხა:

— ცოტას არ შეჭამ?

ალიოშა მთელი დღე ქალაქში დარბოდა, პირში ლუკმა არ ჰქონია, და არც უგრძვნია შიმშილი, მაგრამ ახლა, როგორც კი ანა ივანოვნამ ქვაბს სახურავი ახადა და შეეკითხა — ხომ არ შეჭამო, იგრძნო რა საშინლად შიოდა. თუმცა ეუხერხულებოდა უცხო ოჯახში ეთქვა — მშიაო.

მაგრამ ანა ივანოვნამ უკვე შეუნთო ღუმელს.

— ჩემი ბიჭიც მთელი დღე გადაკარგულია სადღაც, ისიც შენი ტოლია, — თქვა მან.

ვიდრე კერძს შეექცეოდნენ, ალიოშამ გაიგო, რომ ანა ივანოვნა დამლაგებლად მუშაობს აფთიაქში, რომ მისი ქმარი ახლა ფრონტზეა და ვაჟიშვილი სანკაც თურმე „მეომარი“ გამხდარა, გუშინ ღამით შინ ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი გამოცხადებულა.

მერე ანა ივანოვნას უნდოდა დაჭრილისთვისაც ეჭმია, მაგრამ ალიოშამ არ დაანება:

— გაუშვით, ჯერ ეძინოს. როცა გაიღვიძებს, მაშინ აჭამეთ.

ანა ივანოვნამ სუმიატინს საბანი გადააფარა.

ამ დროს კიბეზე ფეხების ბრაგუნი გაისმა. კარი გაიღო და ოთახში, თოფებით ხელში, ორი იუნკერი შემოვარდა. ქამარზე ორივეს რევოლვერის ბუდე ეკიდა.

შემოსულებმა მიმოიხედეს, მერე ერთი ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა.

— უკეთესს ვერც მოიფიქრებ. მთელი შესახვევი ხელისგულივით არის გადაშლილი. აქ დავრჩეთ, ლევაშოვო.

ლევაშოვი, მაღალი, პატარა წვრილულვაშიანი იუნკერი, ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

ალიოშა და ანა ივანოვნა ადგილზევე გაშეშდნენ.

იუნკერი, პირველი რომ მივიდა ფანჯარასთან, ახლა ლოგინთან გაჩერდა.

— ეს ვინ არის? — იკითხა მან და სუმიატინზე მიუთითა.

სუმიატინმა თვალი გაახილა.

— ჩემი ქმარია, — დაიწყო ანა ივანოვნამ. — ხომ ხედავთ, ავადმყოფი წევს.

„ახლა გადახდიან საბანს და მორჩა...“ — გაუელვა ალიოშას თავში.

მაგრამ იუნკერს ლოგინისთვის ხელი არ უხლია, მხოლოდ იკითხა:

— რა სჭირს?

— ეტყობა ციებ-ცხელება აქვს. ორი დღე და ღამეა უგონოდ არის. არ ვიცი რა გავაწყო. იქნებ მირჩიოთ რამე, კეთილო ბატონო?

იუნკერი ყურს არ უგდებდა. ის ახლა ალიოშას შესცქეროდა.

— შენ რაღას იტყვი? — და მან ალიოშასკენ გადააბიჯა.

— ჩვენ არაფერს, — თავი მოისულელა ალიოშამ. — ჩვენ მხურავი ვართ. — ცდილობდა დროს გაყვანას იგი.

— თუ სახურავია შესაკეთებელი... ჩვენ დიდი სიამოვნებით... როგორც გვიბრძანებთ... ჩვენ...

— ხმა ჩაიწყვიტე, სულელო! — გააწყვეტინა იუნკერმა.

— მეც სწორედ მანდა ვარ! — ჩაერია ანა ივანოვნა. — მეც სულ ამას ვეუბნები. ვარიგებ, ჭკვიან ხალხს დაუგდე-მეთქი ყური.

— შენი შვილია? — იუნკერი ხან ერთს აცქერდებოდა, ხან მეორეს.

— დიახ, — მიუგო ანა ივანოვნამ. — შვილია.

— რატომ არა გგავს?

— რას იზამ, ასეთი გამოვიდა.

— მოეშვი მაგათ! — დაუყვირა ფანჯარასთან მდგომმა ლევაშოვმა, — შენც ნახე რა, ვის ელაპარაკო!

— რა მოხდა, ჩვენ იმას ვამბობდით... თუ სახურავია შესაკეთებელი ან დასახურავი — სიამოვნებით, — ისევ მოუვა თავისას ალიოშა, — ჩვენ უარს არ ვამბობთ...

— ხმა გაკმინდე! — უყვირა ლევაშოვმა. — ჩემთან, კულჩიცკი!.. ბაზარში ხომ არა ვართ...

იუნკრები ფანჯარასთან მოეწყვნენ, თოფები მოსახვევისაკენ მიმართეს.

— თუ ბაზარში გაქვთ რაიმე საქმე, სიამოვნებით... შეგვიძლია გაგეგზავნოთ... თვალისდახამხამებაში. რას ინებებთ?

— ვის ვუთხარი, ხმა ჩაიკმინდე-მეთქი!

— როგორც გნებოთ. — ალიოშამ ხელები გაშალა და ვითომც განაწყენებული დადუმდა.

აუცილებელია აქედან გასვლა, რომ რაზმელები გააფრთხილოს, მაგრამ როგორ? იქნებ იუნკრებმა გაუშვან, ყურადღება არ მიაქციონ.

— დედა, მე წავალ, პურს ვიყიდი, — თქვა ალიოშამ.

— წადი, — მიუგო ანა ივანოვნამ, — წადი.

— ადგილიდან არ დაიძრა! — უყვირა ლევაშოვმა.

ალიოშამ გაცბუნებულმა მოიფხანა კეფა.

— შინ პური არა გვაქვს. უპუროდ ვსხედვართ.

— მოითმენთ, — მოუჭრა ლევაშოვმა. — აქედან გასვლა გეკრძალებათ!

იუნკრები რაღაცაზე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, თან მოსახვევს თვალს არ აცილებდნენ.

„როგორ მოვიქცე, — ფიქრობდა ალიოშა. — თავს დავესხა? აბა ორთან რას გავაწყობ, თანაც როგორ არიან შეიარაღებული... რევოლვერში ტყვიები რომ მქონოდა, კიდევ ჰო...“

ამ დროს კიბეზე ისევ გაისმა ფეხის ხმა, მერე ვიღაცამ კარებთან დაგდებულ ფალასზე დაიწყო ფეხის წმენდა.

— სანკა! — ეცა კარებს ანა ივანოვნა.

— უკან! — უყვირა ლევაშოვმა და რევოლვერის ბუდე შეიხსნა.

კარი გაიღო და გამოჩნდა თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილი. ალიოშა მაშინვე მიხვდა, რომ ეს ანა ივანოვნას შვილი იყო. მასავით თხელი, დაბალი ტანის.

— აბა შემოდი. — ლევაშოვმა ხელით ანიშნა და რევოლვერის ბუდე შეიკრა. — რა კარებში გაჩერდი?

სანკამ გაუბედავად გადმოაბიჯა ზღურბლზე. ხან დედას და ალიოშას შეხედავდა, ხან იუნკრებს.

— სანკა, მოხვედი როგორც იქნა!.. — წავიდა მისკენ ანა ივანოვნა. — მე და ალიოშა კი გელით რა ხანია, ვშიშობთ, ხომ ხედავ ქუჩაში რა სროლაა. აგერ კიდევ ეს ბატონები მოვიდნენ, — მან იუნკრებზე მიუთითა, — და სახლიდან გასვლის ნებას არ გვაძლევენ.

— სანკა! — იყვირა ალიოშამ და ბიჭს მოეხვია. — ძამიკო.

სანკა ვერაფერს მიმხვდარიყო. ის იდგა და თვალებს ახამხამებდა.

— ეს ვიღაა? — ანიშნა მან ბოლოს ლოგინზე, სადაც სუმიატინი იწვა.

ასეთი შეკითხვის უაზრობა იმდენად ნათელი იყო, რომ ვერც ანა ივანოვნამ და ვერც ალიოშამ ვერ მოიფიქრეს რა ეთქვათ.

— გამოდის, საკუთარ მამას ველარა ცნობ? — ჩაიცინა ლევაშოვმა, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა

დასასრული იხ. მე-19 გვ.



სკოლისაკენ.

# ალჟირის ცის ქვეშ

ალჟირი მდებარეობს აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში, მისი ტერიტორია 2 191 000 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა კი — 12 მილიონი. ალჟირის დედაქალაქია ქ. ალჟირი.

1962 წლამდე ალჟირში ფრანგი კოლონიზატორები ბატონობდნენ, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ გაეძარცვათ ეს ქვეყანა. 1962 წლიდან კი ქვეყანას უკვე ალჟირელი ხალხი მართავს.

ალჟირი მდიდარია წიაღისეულით, ამასთან აქ ხელსაყრელი კლიმატური პირობებია სოფლის მეურნეობისათვის. ზოგან წელიწადში ორჯერ იღებენ მოსავალს..

სოფლის მეურნეობიდან აქ ძირითადად მისდევენ მიწათმოქმედებას და მომთაბარე მესაქონლეობას, დიდად განვითარებულია მევენახეობა.

ფრანგების ბატონობის დროს ალჟირელთა ძალიან მცირე ნაწილს შეეძლო განათლების მიღება და ამ ნაწილსაც ისევ ფრანგები იყენებდნენ თავიანთ კომპანიებში სამუშაოდ. თუმცა ალჟირის მთავრობამ გამოსცა საყოველთაო სწავლების კანონი, ჯერჯერობით აქ ყველა ბავშვს როდი აქვს სწავლის საშუალება მასწავლებელთა ნაკლებობის გამო.

ალჟირელ ბავშვებს თქვენ ნახავთ ქუჩებში, ბაზრებში, ვაჭრობენ ან ემსახურებიან მაღაზიებს, კაფეებს...

ფოტორეპორტაჟი ოთარ თურქიასი.



ალჟირული „საყოფაცხოვრებო მომსახურება".



გაზეთების გამყიდველი.



დედას ეხმარებიან.



ამ ბიჭს კი „შერეული მაღაზია" აქვს.



„კლასობანა".



# თხოვნა

**გიორგი გელაშვილი**

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიჩნია, რომ ბარაკებში მცხოვრებ ოჯახებს უკეთესი ბინები ეკუთვნოდათ, რაკი მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საშუალებაც შეიქმნა.

— ჩვენ ნუ გადავალთ, რა! — სთხოვა თავის ყველაზე ახლობელ ადამიანს თორმეტი წლის ბიჭმა, — ისე გთხოვ, როგორც დედას.

— ნუ გადავალთ, შვილო, თუ კი შენ ეგრე გინდა, — მიუგო მას ქალმა და სცადა ცრემლები შეემაგრებინა, — ბოლოს და ბოლოს, აქაც რა გვიჭირს!

ისინი ბებია და შვილიშვილი იყვნენ და, რადგან ერთმანეთის გარდა არავინ გააჩნდათ, თავს დედა-შვილად სთვლიდნენ.

როცა ყველა ბარაკი მოისრა, მათთანაც მოვიდა გამკითხავი.

— თქვენ რა, სახელმწიფოს სიკეთეს უგულებელჰყოფთ თუ პირადად მე მიგდებთ მასხრად? — მრისხანედ მიმართა მათ სახლთმმართველმა.

— როგორ გეკადრება, ვაჟო, — შეწუხდა ბებია, — სახელმწიფოს და პირადად შენს ყურადღებასაც ხელს როგორ ავკრავთ, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დაგვაყენეთ სადაც ვდგავართ. არც ვწუწნობთ და არც დაგვიწუწუნია.

— დრო მოვა და დაიწუწუნებთ.

— ჩვენ არ დავიწუწუნებთ.

— დაიწუწუნებთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, დაიწუწუნებთ თუ არა, მნიშვნელობა აღარა აქვს. ეს ადგილი ახალი სახლის ასაშენებლად არის გათვალისწინებული და თქვენი ქოხმახიც უნდა მოიშალოს.

— ბიჭს რომ არ უნდა სხვაგან გადასვლა, ყმაწვილო?

— ვინ ბიჭს, მოხუცო?

— თვალი კი დამიდგეს! ვინ ბიჭსაო — მეკითხები? ჩემი ქალისა და ჩემი სიძის ერთადერთ ნაშიერს. აი, ამას, ვისაც ზედ დავკანკალებ.

— ჰმ, ჰმ!

— სიტყვა აღარ გეყო, ჩემო კარგო, რომ ,,ჰმ, ჰმ"-სღა მეუბნები?

— რაღა უნდა გითხრა? მე თქვენსკენ და...

— ...ჩვენ კი ეშმაკებისკენ? ეგ არ მითხრა, ვაჟო. მე, მართლაც მალე წავალ იმ ქვეყნად. მაგრამ ამ ბიჭს საით იმეტებ. მე იმიტომ უფრო არ ვძრავ ფეხს ამ საცოდველიდან, რომ ბიჭს ეს კარმიდამო, უვარგისია თუ რაც არის, თავისი მშობლების სასიყვარულოდ დარჩენია. შენც უნდა გამიგო.

— ძნელი გასაგებია. ჯოჯოხეთიდან სამოთხეში გადასვლას რომ ვინმე უარობდეს! მით უფრო ძნელია ჩემთვის ამაში უფროსები დავარწმუნო.

— ის შენი უფროსები მე მომგვარე და მე დავარწმუნებ, რომ მართალი ვარ.

— რაში ხარ მართალი, დედაკაცო?

— იმაში, რომ ჩემს შვილიშვილს ასე უნდა.

— შენი შვილიშვილი რა, ქვეყნის კანონმდებელია?

— ჩემი შვილიშვილი ერთი იმათთაგანია, ვინც თავისი მშობლების, აგრეთვე ჩემი, შენი და შენი უფროსების ერთ-ერთი მომავალია.

— ბებო, შენ გენაცვალე! მე რა ქვეყნის მომავალი ვარ? მაგრამ იქნებ როდისმე დაბრუნდნენ დედაჩემი და მამაჩემი, და სახლი რომ აქ აღარ დახვდეთ, ჩვენ რომ არ დავხვდეთ, სადღა გვიპოვნონ? — გაიშფოთა ლოგინში სიცხიანმა ბიჭმა, აქ უნდა დავრჩეთ, შენ გენაცვალე, ბებო.

— დარჩით, ხალხო კეთილო, უცებ

დაძაბუნდა მედგარი სახლთმმართველი, — იყავით აქ, თუ ეგრე აგიხირებიათ. მაგრამ რომ მოვა ერთ დღეს მნგრეველი მანქანა და თავის ბასრ პირს შემოუყენებს თქვენს სახლსა? ხომ იცი, ძველი მაინც უნდა დაინგრეს!

— ძველი ყველაფერი არ უნდა დაინგრეს! ჯეილო! ძველი იცი რამდენი სიყვარულის შთამნერგავია მომავალი თაობისათვის? ახალზე კი არც მე ვარ მწყრალად. რაც კარგია, მეც მესმის, და როგორ ვიტყვი, რომ არ ვარგა-მეთქი! მაინც გთხოვ, სანამ პირში სული მიდგას, ეს ჭერი შემინარჩუნე.

— მე არ გინგრევ ამ შენს ჭერს! მაგრამ სხვა დაგინგრევს, რომ უკეთესში შეგასახლოს.

— მეც ამ დროებას ვენაცვალე, ჩემო კარგო. მაგრამ ხომ ხელშეუხებლივ ინახავთ თქვენ ახალი დაგეგმარების არეზე თუნდაც ძალიანაც უხერხულად გამოხირულ ზოგიერთ სახლს, რომელზეც მარმარილოს დაფას აკრავთ?

— მერე და, შენ სახლს რა დაუმსახურებია, რომ ასევე შევინარჩუნოთ და თანაც მარმარილოს დაფა ავაკრათ?

— ეს ჩემი სახლი მაინც მთელად შეინახეთ და, დაფაც, თუ გინდათ, წინასწარ აკარით. არ შესცდებით. ეს ბიჭი ივარგებს იმ ზომად, რომ მისი სახელი ამ ქვეყნად დარჩეს.

ბებია რომ დადუმდა, სიტყვა ველარ იპოვა სახლთმმართველმაც. სიცხიანი ბიჭი კი ერთხელაც შეინძრა გახურებულ ლოგინში.

— ჯერ შენი სახელის სადიდებლად უნდა აეკრას დაფა, ბებო, ამ ჩვენ სახლს. შენ იმაზე მეტი მასწავლე, რაც უნდა მცოდნოდა. ხოლო რაკი ამდენი ვიცი, აბა როგორ არა ვთქვა, რომ მეცა და აი ამ კეთილ კაცსაც, რომელიც შენი შეგონებით სახლს აღარ გვინგრევს, ცხოვრებაში ყველა ავ-კარგის სწორად განსჯა შეგვეძლება.

ნაამებ ბიჭს თითქოს სიცხეც შეეშვა. მან თვალები მილულა და მშვიდი ღიმილით დაიძინა.

— ეჰ, მოხუცო, — კეფა მოიფხანა გულშეძრულმა სახლთმმართველმა.

— უი, თვალი კი დამიდგეს, ჭკვიანო კაცო, — უცებ ვიშვიშით აწრიალდა დედაბერი, — აგეთი სიკეთის მაუწყებლად მოგვიხვედი, მე კი თან მახარობლობა წყალში გადაგიყარე, თანაც პატივი ვერ გეცი. ახლავე, შემოგევლე, ახლავე. ტკბილიც იქნება და ტკბილზე დასაყოლებელიც. განა სახლთუფროსნი რომ არ გვადგანან, უმწეონიც ვართ? ნურას! ეს ჩემი ბიჭი კარგად გვიმყოფოს. ამ წუთში იქნება ტაბლაზე, რაც შენ გეკადრება.

მოხუცმა სწრაფად გამოყარა კარადიდან, რაც ებადა, მაგრამ გული რომ სამასპინძლოდ ჩაიარხეინა, სტუმარი ოთახში აღარ იყო.

სახლთმმართველი, ცხადია, სახლზე ასაკრავი მარმარილოს დაფების საშოვრად არ გამსხლტარა იქიდან, თუმცა შესაძლოა ფიქრობდა, რომ გმირი ბებია იქნებ მართლაც იმსახურებდა ამ პატივს და იქნებ ამხდარიყო მისი წინასწარმეტყველებაც — უკვდავყოფის ღირსი სახელი დაემკვიდრებინა მამულიშვილთა შორის მის ობოლ შვილიშვილს.

გარეთ კი მომდგარიყვნენ სხვადასხვა ჯურის მანქანები, რომლებიც იოლად დაანგრევდნენ დუღაბით ნაგებ ციხე-კოშკსაც კი, ოღონდ მოერეოდნენ თუ არა ფიცრულ ქოხს, რომელსაც ნიავიც კი საბედისწეროდ ატორტმანებდა და რომელშიც ნათელი იმედებით ცხოვრობდნენ მოხუცი ბებია და თითისტოლა შვილიშვილი, არავინ უწყოდა!

# სანიტარი

დასასრული. იხ. მე-12 გვ.

„ძმებს“. ის ლოგინთან მივიდა. — კომედია დამთავრებულია. ადექი! — და სუმიატინს მხარში ხელი ჰკრა.

მაგრამ ის უძრავად იწვა, თვალიც კი არ გაუხელია. მაშინ იუნკერმა საბანი ერთის მოქნევით გადააძრო. მას თითქოს არც გაჰკვირვებია, რომ „ავადმყოფი“ ჩაცმული იწვა და ფეხი ბანდით ჰქონდა შეხვეული, რომლიდანაც ზლომად გამოეჟონა სისხლს.

— კარგი ხურვებაა. — თქვა ლევაშოვმა. — შეხედე, კულჩიცკი!

მეორე იუნკერიც მივიდა ლოგინთან და ლევაშოვს გვერდით დაუდგა.

რაღაც ერთი წამით ისინი ალიოშასაკენ ზურგით აღმოჩნდნენ.

ალიოშამ ხელი უბეში ჩაიყო. გული გადარეულივით უძგერდა. „ეჰ, ტყვიები მომცა...“ — გაუელვა თავში, მაგრამ მეტზე აღარაფერზე ფიქრი არ დასცალდა, რადგან კულჩიცკი შემობრუნდა.

— ხელები მაღლა! — იყვირა მან და ლულა იუნკრებს მიუშვირა. — ხელები მეთქი... გესვრით...

იმ წუთში შემობრუნდა ლევაშოვიც. ისინი მხარდამხარ იდგნენ და ალიოშასათვის ადვილი იყო ორივეს მიზანში ამოღება.

— სანკა, აჰყარე იარაღი! — უთხრა მან ბიჭს. — თქვენ კი, ანა ივანოვნა, სწრაფად რაზმელებთან.

სანკა, რომელიც უკვე გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში, სწრაფად ეცა იუნკრებს, და ბუდეებიდან რევოლვერები ამოართვა.

— მომეცი, — უთხრა ალიოშამ.

მან ორივე რევოლვერი ჩახმახზე შეაყენა და მერე ერთი ისევ სანკას გადასცა:

— ის მაღალი შენ ამოიღე მიზანში. — ალიოშამ ლევაშოვზე მიუთითა. — ოდნავ თუ რამე შეამჩნიო, ესროლე, ანა ივანოვნა, რატომ აყოვნებთ?

— მეშინია.

— მაშინ არ შეგეშინდათ და ახლა გეშინიათ, — უსაყვედურა ალიოშამ.

— თქვენი დატოვება მეშინია, — აუხსნა ანა ივანოვნამ.

— აქ არაფერია საშიში. — უკმაყოფილოდ თქვა ალიოშამ. — ხომ ხედავთ როგორი ორი ზარბაზანი გვიჭირავს, — და რევოლვერი დაიქნია.

— ორი კი არა, სამი. — გაუსწორა სანკამ.

— არა, ორი. ჩემსაში ხომ ტყვიები არ იყო.

— იდიოტი!.. გაალრჭიალა კბილები ლევაშოვმა. — ეს სულ შენი ბრალია, დოყლაპიავ.

— შენ თვითონ კი... — შეეპასუხა კულჩიცკი. — შენ თავს დახედე.

იუნკრებმა გაბოროტებით შეხედეს ერთმანეთს.

— ლაპარაკი! — უბრძანა ალიოშამ.

— იდიოტი, — არ ცხრებოდა ლევაშოვი...

— დაწექით! — უბრძანა ალიოშამ.

ლევაშოვი და კულჩიცკი განაგრძობდნენ დგომას.

— სწრაფად! — ალიოშამ მათ თავებს ზემოთ ორჯერ გაისროლა...

იუნკრები იატაკზე დაემხნენ.

— აი, ასე სჯობს. — ალიოშამ სანკას თვალი ჩაუკრა.

ანა ივანოვნამ ჯერ იატაკზე მწოლიარე იუნკრებს შეხედა, მერე ბიჭებს და კარისკენ წავიდა.

— კარგი, წავალ! — წარმოთქვა მან და კარებს უკან მალე მიწყდა მისი ნაბიჯების ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი საქართველოს ანბანი

ეთერ სახვაძე

ბუხარს მიუჯდება ბიჭი,
ტურფა „დედა-ენას“ გაშლის.
უკვე ანა-ბანა იცის,
გახარებულია ბავშვი.
„რა ადვილი რამ ყოფილა,
ვისწავლე ორიოდ თვეში!“
ჯერ რა გესმის, თვალებზფოფინავ,
ქართული ანბანის ეშხი.
იოლიაო, — ამბობ,
ეს, ერთი შეხედვით, თორემ,
რაც მეტს იკითხავ, კარგო,
უფრო მეტ საკვირველს ჰპოვებ.
მისი ჩუქურთმები ითვლის
რამდენ საუკუნის ძახილს,
ულამაზესია იგი,
როგორც მშობლიური ხალხი.
ეს ოცდაცამეტი ასო
იქმს მრავალ მადლსა და ცოდვას,
ისე მოიხმარე, ბალღო,
როგორც მოიხმარა შოთამ,
როგორც მოიხმარა საბამ, —
სიტყვა სასიტყვეში დარგო,
როგორც მოიხმარა ვაჟამ
და ტკბილ საქართველოს არგო.



## გაზაფხული

ნელი დარსაველიძე

გაზაფხული მოვიდა
ყაისნაღით ხელში,
ნირწამხდარი ზამთარი
მიიმალა მთებში.
ჯერ მინდორი მოქარგა
ფერით — მწვანით, ლურჯით,
მერე ტყემალს ეწვია
ჯადოსნური ფუნჯით.
ააფეთქა რტოებზე
ყველა კვირტი ერთად,
უთხრა: ცოტა კიდევ და,
აყვავდები თეთრად.
გაზაფხული ფუსფუსებს,
უსაქმოდ ის ვერ ძლებს,
ჩამობრძანდით მალეო, —
შეუთვალა მერცხლებს.

## მარტი

მზია ჩხეტიანი

თოვლი მოდის,
ცივი თოვლი,
თუ პეპლები
მოფრენილან სამარტოდ;
რომ შენს ბაღში
ჩუმი თრთოლვით
ფიჭვის ტოტზე
ენძელები დახატონ!

გესმის?
ჩუმად სკდება კვირტი
და სიცოცხლის სიხარულზე
ღაღადებს,
იცი? —
მთასთან ქარი გიცდის —
შენთან ერთად
ლაღად გაინავარდებს.
შენ ეს მარტი,
ცელქი მარტი
მინდორ ველთა
საიდუმლოს გაგანდობს,
რომ სიცოცხლის მუდამ გწამდეს
და სიცივემ —
არ შეგაკრთოს არასდროს!



## როგორ გამოიგონა ადამიანმა ხერხი?




ადამიანს ყოფაცხოვრებაში ხერხი დიდად ეხმარება. მას ამ იარაღის დამზადებაში დაეხმარა ხერხთევზა, რომელსაც წაგრძელებული დინგის ორივე მხარე დაკბილული აქვს.

ძველი რომაელი მეცნიერი პლინიუსი მოგვითხრობს, რომ ადამიანს ხერხის გაკეთების იდეა შთააგონა, ზღვის ნაპირზე ნაპოვნმა, ხერხთევზას ყბამ, რომელსაც დინგი ზედ ჰქონდა შერჩენილი.

ხერხთევზა (იხ. ნახატი.) ამ დინგს საცხოვრებელი დარანის გასაკეთებლად იყენებს, მტერსაც იგერიებს და საზრდოს მოპოვებაშიც ხმარობს.

ხერხთევზა სიგრძით ხუთ მეტრამდე იზრდება. დინგის სიგრძე კი, რომელიც 25-32 წყვილი კბილით აქვს შეიარაღებული, სამ მეტრამდე აღწევს.

ა. ნემსაძე.





# ვერეს ხეობაში

გიორგი კაჭახიძე

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

ნამდვილი ამბავი

ინათა თუ არა, ფეხზე დავდექით. ჩემმა დისშვილმა თემომ თოფი გაისროლა, არემარეს ამცნო: გათენდა, გაუმარჯოს დილას! კარავი დავშალეთ, ზურგჩანთები წესრიგში მოვიყვანეთ და წამოვიკიდეთ. მივყევით ბილიკს. პატარა, აქოჩრილი ტყე გავიარეთ და ნამკალ მინდორში გავედით. მინდვრის მთელი წინა მხარე სახლების ნანგრევებით იყო დაფარული. ყველაფერი ღაღადებდა, რომ აქ სოფელი ყოფილა. გვინდოდა გაგვეგო, რამ აქცია ეს ადგილი ნასოფლარად, მაგრამ ამისი მთქმელი არავინ იყო. გარშემო ადამიანის ჭაჭანება არ ჩანდა.

— თავს როგორ გრძნობ, ბიძაჩემო? — მითხრა თემომ, — ხომ არ ნანობ, რომ აგიყოლიეთ და გზას გამოგიყენეთ!

— რა მაქვს სანანებელი! ჩემი დაუდევრობის ბრალი, თორემ ამ ხნის კაცს ახლა არ უნდა მიხდებოდეს ამ ხეობის გაცნობა. — ვუთხარი და ზურგჩანთის სალტეებს ადგილი მოვუნაცვლე.

მართლაც, არ ვნანობდი, ახალგაზრდებმა რომ ამიყოლიეს და თბილისიდან წამომიყვანეს. ეს ასე მოხდა: ერთი კვირის წინათ თემომ მითხრა: — ბიძაჩემო, მდინარე ვერე აგერ, თბილისში ერთვის მტკვარს. ახალგაზრდებმა რატომ არ უნდა ვიცოდეთ, საიდან მოდის ეს მდინარე... ჰოდა, მე და ჩემმა მეგობრებმა — თამაზმა და ომარმა გადავწყვიტეთ, მომავალ შაბათ-კვირას ზურგჩანთები ავიკიდოთ და მდინარის სათავემდე ავიდეთ. რა დიდი სიგრძე მაგას ექნება! წამოდი, შენი ხნის გამოცდილი კაცის თანამგზავრობა ჩვენთვისაც კარგიაო. მეც ბევრი არ მიფიქრია და დავეთანხმე. ჩემი თორმეტი წლის მერაბი აფორიაქდა: — მეც უნდა წამოვიდეო. იმდენი გვეხვეწა, უარი ვერ ვუთხარით.

და აი, გუშინ დილით ადრიანად გამოვედით თბილისიდან. გამოვყევით ვერეს ნაპირს. ბეთანიის ტაძრამდე ადრეც ვყოფილვართ, ამ ტაძრიდან კი იწყებოდა ჩვენთვის უცნობი მიდამოები. ტაძარი — ჩვენი წარსულის ეს დიდებული ძეგლი ახალი თვალით კიდევ ერთხელ შევათვალიერეთ გარედან, მერე მივყევით დასავლეთისაკენ მიმავალ ბილიკს. ვიარეთ ტყე-ტყე. ალაგ ხევი გვხვდებოდა, ალაგ ტყე მეჩხერდებოდა და მდელოზე გამოვდიოდით. მთები კი ყოველი მხრიდან ბუნების მოდარაჯე თვალით გვიყურებდნენ. ხეობამ ჩრდილოეთისკენ რომ დაიწყო მოხვევა, ჩვენც პირი ჩრდილოეთისკენ ვიბრუნეთ. ისე მოსაღამოვდა, კაცი არ შეგვხვედრია.

— არ მეგონა თბილისის ახლოს ასეთი უკაცრიელი ადგილები თუ იქნებოდაო. — თქვა თამაზმა.

მერაბი გზადაგზა გორებზე არბოდა — პირველად სოფელი მე უნდა დავინახოო, მაგრამ ყოველთვის გულდაწყვეტილი გადმოგვხედავდა და გვანიშნებდა — არაფერი ჩანსო. მზის ჩასვლის ჟამს ერთ მდელოზე შევჩერდით, ტოტებგადაშლილი მუხის ქვეშ კარავი გავმართეთ და ღამე იქ გავათენეთ.

გათენებით გამხიარულებული ფრინველები ჟივილ-ხივილით არე-მარეს იკლებდნენ. ჰორიზონტს ყანას მოვკარი თვალი. მიდამოს ადამიანის ხელი ეტყობოდა, სადმე ახლო სოფელი უნდა ყოფილიყო, და აი სასოფლო გზაზეც გავედით. მზე ამოვიდა. ნანატრი დღე დგებოდა. გვიანი შემოდგომა იყო და ასეთი მზიანი, უღრუბლო დღის გათენებამ ყველა გაგვახალისა — მეც და ბიჭებიც. გზამ სიარული გაგვიადვილა. მალე ხელმარცხნივ, ვერეს გაღმა, თითქოს ვეება კარი გაიღოო, ერთმანეთს დაშორებული მთების დერეფნიდან ტაფობში სოფელი დავინახეთ. რუკა გავშალეთ და მივხვდით, ეს სოფელი ღვევი იყო. გზა იქით არ გვედო და სოფელში არ შევსულვართ.

თერთმეტი საათი იქნებოდა, ერთ პატარა ამაღლებულ ველზე რომ შევჩერდით. აქ გზა ორად იყოფოდა. ერთი ვერეს ნაპირს მიჰყვებოდა სათავისკენ, მეორე აღმოსავლეთისკენ უხვევდა და ადამიანის ხელით ნაგებ გრძელ ყორეს უკან იკარგებოდა. წინ აღმართულ მთას თავზე ნისლი ეხვია. ეს მთა საცხენელა იყო. ასე გვითხრა რუკამ. მდინარე ვერე საცხენელას სამფლობელოში იღებს სათავეს და ხეობასაც ეს მთა კეტავს. ვერეს ხეობაში მოგზაურობას დამთავრებულად არ ჩავთვლიდით, თუ საცხენელაზე არ ავიდოდით. ამ სურვილით ველზე მოვიკალათეთ და ვისაუზმეთ.

— შეხედეთ, იქ კაცი უნდა იყოს! — წამოიძახა ყორისკენ თვალმიპყრობილმა თამაზმა. მოვიხედეთ და ნათლად დავინახეთ კაცი. მხარ-ბეჭი და თავი მოუჩანდა, ყორეს მოსდგომოდა და გვიცქეროდა. გაჭვიხარდა, ბარგი წამოვკრიფეთ და ყორეს გზიდან შემოვუარეთ. ყორეს უკან მიდამო ნასახლარებით იყო მოფენილი. მზით დამწვარი, წვერგაუპარსავი უცნობი ჩვენსკენ შემობრუნდა, ვინაობა გამოგვკითხეთ.

— მე აგერ ვცხოვრობ, იმ სახლში, — თქვა და გზის გადაღმა სახლი დაგვანახა. იმ სახლის იქით კიდევ რამდენიმე სახლი შევნიშნეთ. — სულ ექვსი კომლი ვართ, — განაგრძო ჩვენმა თანამოსაუბრემ. — აქ კი, — გვანიშნა ნასახლარზე, — ჩვენი მეზობლები ცხოვრობდნენ, მაგრამ ქვეყნის უფროსების რჩევით ბარში გადასახლდნენ.



ქვემოთ, გზაში ნასახლარებს დაინახავდით, იმ სოფლის მცხოვრებლებიც ბარში გადასახლდნენ.

— თქვენ ჩამორჩენილხართ, — შევნიშნე მე.

— არა, ჩვენ აქ ვარჩიეთ დარჩენა.

— „მთის ჩიტი მთას შეაკვდაო", — ასე ყოფილა თქვენი საქმე, — შეეხუმრა თამაზი.

— ჰო, ასეა... ქვეყნისაგან მოწყვეტილად თავს არ ვგრძნობთ: ქვემოთ სოფელი ღვევია და მასზე ვართ მიწერილი, ჩვენი ბავშვებიც იქ დადიან სკოლაში.

რა გვეთქმოდა, ის კი გვიამა, ასეთ ადგილას ამ რამდენიმე ეზოდან ქალებისა და ბავშვების ხმა რომ ისმოდა.

თემომ საცხენელას ახედა და ჰკითხა: — მთაზე რომელი გზით ავალთ?

— ამ გზით, ნასახლარების ქვემოთ მოუხვევთ და პირდაპირ მაგ მთისაკენ გზას დაადგებით.

— აბა, ის გზა საითღა მიდის, მდინარე ვერეს რომ მიჰყვება? — ახლა ომარი შეეკითხა.

— არსად, იმ გზით მხოლოდ შეშასა და ხე-ტყეს ეზიდებიან ახლომახლო ტყეებიდან. ის მხარე გაუვალია, კლდეებით ჩაკეტილი.

ჩვენთვის ყველაფერი გარკვეული იყო, დავემშვიდობეთ ჩვენს თანამოსაუბრეს და გზას დავადექით.

მივდიოდით აღმართ-აღმართ, ალაგ საძოვრებზე, ალაგ სახნავ-სათესზე გავლით. ზემოთ ტყე დაიწყო, მომეტებულად რცხილა და ტანაყრილი წიფელი იდგა.

მივდიოდით აღმართ-აღმართ, ტყეტყე. თანდათან გზა დასავლეთისაკენ უხვევდა. აღმართი შემცირდა, ცოტა გავივაკეთ და სული მოვითქვით. რაც წინ მივიწევდით, ტყე თანდა-

თან დაბლდებოდა და ფოთლებით ღარიბდებოდა. ბოლოს აღმართი დამთავრდა და ტყით გარშემორტყმულ ველზე გავედით. ხეებისა და ბუჩქების ქვეშ შემორჩენილმა თოვლმა გვამცნო, რომ წინა დღეებში აქ ეთოვა.

საცხენელაზე ავედით. თოვლით შეთეთრებული მისი მწვერვალი ჩვენს წინ ბრჭყვიალებდა. ქვემოთ, ვერეს ხეობაში თბილი შემოდგომა დავტოვეთ და უცებ ზამთარი დაგვიდგა.

ველის ბოლოში გავედით და ბალახმორეულ გზას მივადექით. გზა მთელი სიგრძით მთაზე იყო გაწოლილი. ზურგჩანთები მოვიხსენით და გზის პირას დავალაგეთ.

უცებ შორს ტყეში დასავლეთისკენ ძაღლმა დაიყეფა. ყეფა გახშირდა და თანდათან მოახლოვდა. გაგვიხარდა: ძაღლის ყეფამ ადამიანის სიახლოვე გვაგრძნობინა.

— ალბათ ტყეში მონადირეა, — თქვა თამაზმა.

— აბა, აქ სხვა ვინ ამოვიდოდა! — შეეხმიანა ომარი.

— ძაღლის ყეფა ისე მოახლოვდა, ეტყობა მონადირე აქეთ მოდის, — ჩაერია ლაპარაკში თემო. — საინტერესო იქნება მასთან გამოსაუბრება, რამეს გვეტყვის ამ ჩვენთვის უცნობ ადგილებზე.

დაველოდეთ მონადირეს. კარგა ხანი გავიდა, მაგრამ არც ძაღლი ჩანდა და არც მისი პატრონი.

—— იქნებ ის კაცი აქეთ არ მოდის, — თქვა ომარმა, — ჩვენ წავიდეთ და გამოველაპარაკოთ.

მეგობრები დაეთანხმნენ და სამივენი ტყეში შევიდნენ ბარგთან მე და ჩემი მერაბი დავრჩით. დროდადრო ველზე ხან შაშვი გამოიჭახჭახებდა, ხან ჩხიკვი გადაიფრენდა. მერაბმა ვერ მოითმინა, თოფს ხელი წამოავლო და ველს დაურბინა. მერე ერთ ადგილზე შეჩერდა და ფრინველს დაელოდა. ამ დროს ყეფითა და წკავწკავით ველზე შეშინებული ძაღლი გამოვარდა, თითქოს ვიღაც მოსდევდა. არ მეამა მისი წკავწკავი. თუ რამე არ უჭირს, რატომ უნდა წკავწკავებდეს?! — გავიფიქრე უნებურად. მერაბი რომ დაინახა, შეჩერდა და გაჩუმდა. ბიჭუნამ დაუძახა, ძაღლს ეამა და კუდის ქიცინით მასთან მიირბინა. მერაბმა თავზე ხელი გადაუსვა.

— ფრთხილად, არ გიკბინოს! — მივაძახე.

მერაბი ჩემკენ წამოვიდა. ძაღლიც აედევნა.

ძაღლი მთლად სველი იყო და სიცივისაგან კანკალებდა. პატარა, თაფლისფერი... ისე საწყლად შემომხედა, შემეცოდა.

ახალგაზრდებს შეაგვიანდათ და დავეხმაურე — არ გამომეპასუხნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გავძახე, ბიჭები ახლა საღლაც შორიდან შემეხმიანენ. გამიკვირდა: — ასე შორს რატომ უნდა წასულიყვნენ -მეთქი! ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩდნენ.

—რა სეირნობის გუნებაზე დამდგარხართ! — ვუსაყვედურე მათ, — რა გინდოდათ ასე შორს რომ მიდიოდით?!

— რას ამბობ, ბიძაჩემო! — ცოტა ნაწყენი ხმით მითხრა თემომ, — ამ საცხენელაზე ამომსვლელები სეირნობის გუნებაზე ვიქნებოდით?! ძაღლის პატრონის ნახვის სურვილმა შორს გაგვიტყუა... არსად კაცის ჭაჭანება არ არის.

ახალგაზრდებმა ძაღლს შეხედეს.

— საცოდავი, როგორ კანკალებს! — შენიშნა ომარმა. — ეტყობა მონადირე ძაღლია და პატრონს ჩამორჩენია.

— ნამდვილად დაკარგულია, — დაადასტურა თამაზმა, - შეხედეთ, შიმშილისაგან მუცელი როგორ გაჰქრობია.

— ცოდოა, თუ გამოგყვა, თბილისში წავიყვანოთ, — ვთქვი მე.

— მეტი რა გზაა, — დამეთანხმა თემო, — აქ რომ დავტოვოთ, შიმშილით მოკვდება.

მერაბმა ერთხელ კიდევ გადაუსვა ძაღლს თავზე ხელი, თვალებში ჩახედა და უთხრა: — ხომ წამოხვალ? — ძაღლმა კუდი გააქიცინა და ზურგჩანთებს მოავლო თვალი.

მდინარე ვერეს ხეობაში მოგზაურობა დასრულებულად ჩავთვალეთ. თბილისში დაბრუნება უკან, ისევ ვერეს ხეობაზე გავლით არ გვინდოდა. დავხედეთ რუკას და შინ დასაბრუნებელი ახალი გზაც გამოინახა — დიღმის წყლის ხეობა. გადავწყვიტეთ, გადავსულიყავით ამ ხეობაში, გაგვევლო სოფლები ზევრეთი, წოდორეთი, ლისი და, თბილისიც ხომ იქვეა. მართალია, შუადღე გადასული იყო, მაგრამ სადმე კარავის გამართვასა და ღამის გათევას თბილისისაკენ სვენებ-სვენებით სიარული გვერჩია, თუნდაც მთელი ღამე გვევლო. წამოვიკიდეთ ზურგჩანთები და გზას აღმოსავლეთისაკენ გავყევით. ძაღლიც აგვედევნა. ალაგ ბალახზე მივაბიჯებდით, ალაგ თოვლის ნარჩენებზე, ალაგ გუბეებზეც გვიხდებოდა გადახტომა. ვამჩნევდით, ძაღლი უხალისოდ მოგვყვებოდა: ხან შეჩერდებოდა და უკან იხედებოდა, მერე ფეხს აუჩქარებდა და გვეწეოდა. კარგა მანძილი რომ გამოვიარეთ, სულ შეჩერდა. როგორ არ ვეფერეთ გამოგვყოლოდა, მაგრამ ფეხს არ იცვლიდა. ხან ჩვენკენ იხედებოდა, ხან უკან. ბოლოს შეტრიალდა და სირბილით უკან წავიდა.

— შეხედეთ, რა ქნა! — თქვა თამაზმა, — ალბათ იფიქრა, იქნებ პატრონი გამოჩნდეს და არ დავკარგოო?!

ამ პატარა ცხოველის საქციელმა დაგვაფიქრა.

გზამ სამხრეთისკენ გაუხვია. ჩვენს თვალწინ მთელი სიგრძე-სიგანით გადაიშალა ტყიან მთებს შორის გაწოლილი დიღმის წყლის ხეობა. თვითონაც ტყიანს, ღია ლილისფერი დასდებოდა და, შორს აღმოსავლეთისაკენ ჰირმიბრუნებული და მთებში ჩაკარგული, კაცის თვალის დამატკბობელ სანახაობას წარმოადგენდა.

კიდევ ერთი ტყე და მინდორი მოვიტოვეთ უკან. სულ ქვევით ვეშვებოდით. ბოლოს ისეთ მინდორზე გავედით, რომელსაც კაცის ხელი აჩნდა, გათიბული იყო, თივა ზულულებად იდგა. ხეობის სიღრმეში თვალი მოვკარით სახლის სახურავს. გაგვიხარდა: ახლოს სოფელი უნდა ყოფილიყო. შევჩერდით და გამოვლილ მანძილს ავხედეთ.

— აუჰ, საიდან წამოვსულვართ და რა დაღმართი ჩამოგვივლია! — წამოიძახა გაკვირვებით თამაზმა.

მართლაც, მთას ძლივს ვუწვდენდით თვალს.

— ამ მანძილს გამოვლა არ უნდოდა?! რა მუხლმა გაგვიძლო! — დაამატა ომარმა.

ზემოდან ძაღლის ყრუ ყეფა შემოგვესმა. ყეფა განმეორდა, მერე გახშირდა, გამოიკვეთა და თანდათან მოახლოვდა.

— ისევ ის ძაღლი უნდა იყოს, — თქვა თემომ. — თითქმის სამი საათია, რაც დაგვშორდა. ალბათ პატრონი ვერ იპოვა და ისევ დაგვედევნა.

ცოტა ხნის შემდეგ ძაღლიც გამოჩნდა, მორბოდა და თან მიწას ყნოსავდა.

— ის არის, ის! — ჩვენს ნაკვალევს მოსდევს. — დაიძახა თამაზმა.

ძაღლი ბუჩქნარში გამოძვრა, ბილიკს გამოჰყვა და ჩვენ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თიან მოირბინა. მოვეალერსეთ, მოვეფერეთ. ძაღლსაც ეამა და უფრო თამამად მოგვენდო.

მერაბმა ძაღლს წვრილი, მოკლე თოკი ჩააბა კისერში, თოკის მეორე ბოლო ხელში დაიჭირა და ძაღლი მორჩილად გამოჰყვა.

— თბილისში რომ ჩავალთ, რა ვუყოთ ამ ძაღლს? — იკითხა ომარმა.

— თემოს დავუთმოთ, — ჩაიღიმა თამაზმა.

— რა მონადირე მე მნახეთ, — იუარა თემომ, — თქვენი ნადირობის ამბავიც რომ ვიცი, ყველაფერს აჯობებს, მონადირეთა კავშირს ჩავაბაროთ, და ისინი მოუვლიან.

— ჭკვიანი კაცი ყოველთვის ჭკვიანურს იტყვის, — თქვა თამაზმა და ომარს თვალი ჩაუკრა.

თემოს აზრი ყველას მოგვეწონა.

ძაღლს გადავხედეთ: დასაწყლებული, კუდდაშვებული მოდიოდა.

ნიაღვრებით ჩახრამული გზით სოფელში შევედით.

— ეს სოფელი ბევრეთია, — გვამცნო პირველმა შემხვედრმა კაცმა.

— ის რა მდინარეა? — ჰკითხა ომარმა და ხევზე მიანიშნა.

—დიღომულა გახლავთ, დიღმის წყალსაც ეძახიან...

სოფელი ტაფობშია გაშენებული. ირგვლივ შემოჯარული მთები გალავანივით არტყია. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მდინარის გასწვრივ გაწოლილმა ყველაზე მაღალმა მთამ მიიპყრო. მის კალთებზე შეფენილ, ჯერ კიდევ მწვანე, ხშირ ტყეში ფოთოლგაყვითლებული ალვის ხეები სანთლებივით იდგნენ...

ისევ შემოდგომის სურათი...

შევჩერდით. ზურგჩანთები მოვიხსენით და მიწაზე მოვიკალათეთ. რაც კი შემოგვრჩა ამოვალაგეთ და დავნაყრდით. ულუფა ჩვენს ხიზან ძაღლსაც ვუწილადეთ. მშიერი იყო, მაინც საჭმელს ხარბად არ დასძგერებია, ალბათ უგუნებობის გამო.

ბინდდებოდა, ერთ პირგაშლილ ხევს რომ მივუახლოვდით.

ღელე გაფანტულად მოდიოდა. წყლით დაფარულ ბილიკზე ამოჩრილ ქვებს ვიღაც მაღალი კაცი ფრთხილად ფეხს ადგამდა და ხტუნვა-ხტუნვით წინ მოიწევდა. ის იყო გავუსწორდით ბილიკს, და ის კაციც სასოფლო გზაზე გამოვიდა. ერთმანეთს პირისპირ შევხვდით. უცნობი მოგვესალმა, გამოგვესაუბრა, გაიგო ვინ ვიყავით, საიდან მოვდიოდით, ბოლოს მერაბს გადახედა და ჰკითხა:

— ბიძიკო, ეს ძაღლი სად იპოვე? ჩემია. მეც მიცნობდეთ, მონადირე კაცი ვარ, რაჟდენი მქვია. ამ ხევში, ზემოთ, ერთი პატარა სოფელია და იქ ვცხოვრობ. გუშინ დილით კურდღელზე სანადიროდ წავედი. ეს და მეორე, ამაზე დიდი ძაღლიც თან წავიყვანე. ძაღლები ზემოთ, ტყეში, შველს წააწყდნენ და ყეფით დაედევნენ. მეც სირბილით მივყევი. არ გეგონოთ შვლის მოკვლა მინდოდა, როგორ გავიმეტებ! არა, ისე მივყევი თვალის შესავლებად, მინდოდა ძაღლების მარიფათი მენახა. ბოლოს დავიღალე და შევჩერდი. ამათი ყეფა კიდევ კარგა ხანს მესმოდა. კუნძზე ჩამოვჯექი და ძაღლებს ლოდინი დავუწყე. დიდი ძაღლი დაბრუნდა, ეს კი არა. სადღა არ მოვძებნე, იქაურობა მოვიარე, მაგრამ ვეღარ ვიპოვე. აღარ ვიცოდი რა მექნა! გაწბილებული დავბრუნდი შინ. არ უყურებთ ამ ერთ ბეწოს როგორ უმეტიჩრია, შველს რა შორს დასდევნებია?!

ძაღლი ხან ჩვენ გვიყურებდა დარცხვენილი, ხან რაჟდენს.

— თარეშა, ჩემო თარეშა, სად დამეკარგე, ჰა?

ძაღლი, თითქოს გამოლაპარაკებას ელოდაო, უცებ გახალისდა, რაჟდენს ზედ შეახტა, შეეთამაშა.

ამ სურათმა გული აგვიჩუყა. საკვირველი იყო, რომ ძაღლმა რაჟდენის დანახვისუმალვე არ გამოამჟღავნა თავისი სიხარული, ალბათ თუ რცხვენოდა პატრონისა, გზა რომ დაებნა და დაიკარგა. ჩვენიც ერიდებოდა უთუოდ, არ უნდოდა პატივისცემისათვის ფეხი ეკრა.

ალერსით გულმოჯერებული ძაღლი პატრონის ფეხებს აეკრა, და თან ჩვენც თვალს არ გვაშორებდა. მერაბმა თოკი მოხსნა. თარეშამ ხელზე დაყნოსა, ალბათ იფიქრა, იქნებ კვლავ შევხვდე და ადვილად ვიცნოო.

— კარგი სახელი დაგირქმევიათ თქვენი ძაღლისათვის, — ვუთხარი რაჟდენს, — მისი ხასიათის გამომხატველი!

— იშვიათი მონადირეა, რომ არ მეპოვა, გადაწყვეტილი მქონდა ხვალ მეურნეობის დირექტორისათვის მეთხოვა ოთხიხუთი დღით განთავისუფლება და აქაურობა სულ ძირისძირობამდე უნდა მომეარა. თქვენ გაიხარეთ, ტანჯვასა და ტყე-ტყე ხეტიალს რომ გადამარჩინეთ!

— ჩვენც გადავრჩით დავიდარაბას, ხვალ თქვენი თარეშა მონადირეთა კავშირისთვის უნდა ჩაგვებარებინა. — უთხრა თემომ.

დავემშვიდობეთ რაჟდენს, ერთხელ კიდევ გავეთამაშეთ თარეშას და გზა განვაგრძეთ.

შუაღამე გადასული იყო თბილისში რომ შემოვდგით ფეხი



# ცისფერ ოკეანეში

ოკეანე ურიცხვ სიმდიდრეთა და კვების პროდუქტების ალუნუსხავი საწყობია. ოკეანის „ცისფერი გზები“ უიაფესი ტრანსპორტია. XX საუკუნე ოკეანის მეორედ აღმოჩენის ერაა, ფაქტიურად დღეს ხდება იმის შესწავლა, რაც საუკუნეთა მანძილზე ადამიანის ცხვირწინ იყო, რომლისთვისაც თვალი შეჩვეული ჰქონდა და ყურადღებას არ აქცევდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ჩვენი სახელმწიფოს გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინის პირადი მითითებით გაემართა სალაშქროდ იალქნიან-მოტორიანი შხუნა „პერსეოსი“. ეს იყო პირველი მცურავი ლაბორატორია.

უკანასკნელ ხანებში წყალში ჩაუშვეს „პერსეოსის“ „შთამომავლები“: „აკადემიკოსი კურჩატოვი“ და „აკადემიკოსი კოროლიოვი“. ნეტავ იცოდეთ, როგორ არა ჰგვანან ისინი თავიანთ წინაპარს!

სამეცნიერო-საკვლევი გემი „აკადემიკოსი კურჩატოვი“ ნამდვილი ინსტიტუტია. 6680 ტონა წყალწყვის გიგანტს სიგრძე 124 მეტრი აქვს. მასზე დადგმულია 8000 ცხენის ძალის ძრავა, მის ოთხსართულიან გემბანზე განლაგებულია 24 სამეცნიერო ლაბორატორია, რომელთაც საშუალება აქვთ ჩაატარონ ოკეანოგრაფიული, გეოფიზიკური, გეოლოგიური, ბიოლოგიური გამოკვლევები, როგორც ზღვის სიღრმეში, ისე ატმოსფეროში და ფსკერქვეშაც. გემი აღჭურვილია უახლესი ელექტრო-რადიონავიგაციური ხელსაწყოებით. გამომთვლელი მანქანები და ავტომატები ასობით ადამიანის შრომას სცვლის. გემს ყოველგვარ ამინდში შეუძლია ცურვა.

სამეცნიერო გემების გამოჩენასთან ერთად, გაჩნდა „ზღვის დოვლათის“ მომპოვებელი ახალი გემები.

თევზ-კონსერვის ტრაულერი „ნატალია კოვშოვა“ (სამამულო ომში დაღუპული კომკავშირელის სახელის უკვდავსაყოფად შეარქვეს) თევზს იჭერს და გემზევე გადაამუშავებს. იგი სხვა ტრაულერებზე ბევრად დიდია. წყალწყვა 9840 ტონა აქვს, სიგრძე 127, სიგანე — 19 მ. გემს 238 ადამიანი ემსახურება, მას შეუძლია 130 დღე იცუროს პორტში შეუსვლელად, და ერთ თვეში თევზით უზრუნველყოს მოზრდილი რაიონული ცენტრი.




1. სამეცნიერო საკვლევი გემი „აკადემიკოსი კურჩატოვი“. 2. თევზსაკონსერვო ტრაულერი „ნატალია კოვშოვა“. 3. თევზსაჭერი მცურავი ბაზა „ვოსტოკი“. 4. გემი ჰაერის ბალიშზე. 5. წყალქვეშა ტანკერის სავარაუდო სახე. (ფირმა — „მიტჩელ ინჟინირ ინგი“).

ეს უშველებელი გემი უნიკალურ მცურავ ბაზას — „ვოსტოკს“ რომ შევადაროთ, უბრალო ნავად მოგეჩვენებათ. 43000 ტონა წყალწყვის გოლიათს სიგრძე თითქმის 250 მეტრი აქვს, სიგანე კი 28 მეტრი; იგი აღჭურვილია 26000 ცხენის ძალიანი ძრავებით. ეს საშუალებას აძლევს საათში 35 კილომეტრის სისწრაფით იცუროს. თევზის ნაწარმის ამ კომბინატს 600 ადამიანი ემსახურება, მის საამქროებში დღეღამეში 300 ტონა თევზი მუშავდება.

მცურავ ბაზაზე 14 პატარა ტრაულერია. როცა თევზჭერის რაიონში შევლენ, მათ „ვოსტოკი“ წყალში ჩაუშვებს. გემს ფაქტიურად არ აშინებს არავითარი ქარიშხალი და ყველა ოკეანეში შეუძლია ცურვა. გემბანზე მიმაგრებული ორი ვერტმფრენი წარმატებით ზვერავს თევზის ქარავნებს. „ვოსტოკის“ ყოველი რეისი — 20 მლ. ქილა კონსერვია, 2000 ტონა გაყინული თევზია, 2000 ტონა საკვები ფქვილია, 185 ტონა თევზის ქონია.

გემები აშკარად ჩამორჩებიან თავიანთ საჰაერო და სახმელეთო ძმებს — თვითმფრინავებსა და ავტომანქანებს; მათ დიდი ხანია გაასწრეს ყველაზე სწრაფმფრენ ჩიტებსა და ხმელეთის ცხოველებს.

ზღვაზე პირველობას დიდხანს დელფინი ინარჩუნებდა, მაგრამ ახლა,

არა მარტო ცალკეულმა რეკორდსმენებმა, არამედ ზოგიერთმა, განსაკუთრებულმა კონსტრუქციის სამგზავრო გემმაც კი შორს ჩამოიტოვა ეს ჩემპიონი.

ფრთოსანი თბომავალი „მეტეორი", თავის თანამოძმეთაგან, პირველი „მეტეორისაგან" არა მარტო ზედ დადგმული გაზოტურბინით განსხვავდება, არამედ სისწრაფითაც. — თავისი წყალქვეშა ფრთებით იგი საათში 110 კმ. სისწრაფით მიჰქრის.

მაგრამ თურმე არც ეს არის ზღვარი. წყალქვეშა ფრთებიან გემებს ძალზე სერიოზული მეტოქე გამოუჩნდათ. ჯერ ძნელია ამ მანქანას რაიმე სახელი დაარქვა. მას ხომ წყალზე, ყინულზე, თოვლზე ცურვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მიწაზე ფრენაც კი ძალუძს. ზედაპირიდან იგი 15 სანტიმეტრიანი „ჰაერის ბალიშით" არის აცილებული. მართლაც რომ უნიკალური ნაგებობაა ახლახან საგამოცდოდ ჩაშვებული საოკეანო ტრაულერი — კატამარანი „ექსპერიმენტი". საშუალო ტრაულერისოდენა ორი კორპუსი შეერთებულია ერთმანეთთან ბაქნით, მასზეა განლაგებული თითქმის ყველა საცხოვრებელი და სამსახურებრივი ნაგებობა. ამ გემს შეუძლია თევზი ორი ტრალერით ერთდროულად დაიჭიროს.

გემის კონსტრუქცია საშუალებას იძლევა, რომ მან ზღვაში სხვა გემებთან შედარებით რამდენჯერმე მეტი საწვავი წაიღოს თან, რაც ძალზე დიდ მანძილზე ცურვის საშუალებას აძლევს.

ზემოთ აღნიშნული გემების აგებისას გათვალისწინებული იყო ოპტიმალური მნიშვნელობის ბევრი ფაქტორი. ასე და ამგვარად, იქმნება გემები, რომლებიც ზუსტად უპასუხებს მათს წინაშე დასმულ მოთხოვნილებას. მაგრამ ადამიანი ოცნებობს და მისი ოცნების ერთ-ერთი ობიექტი — მომავლის წყალქვეშა ნავია. წარმოებს ცდები წყალქვეშა სატრანსპორტო გემების ასაგებად. დიდი სისწრაფით, ათასგვარი ჰიდრო-მეტეოროლოგიური „კაპრიზებისაგან" დამოუკიდებლად გადასერავენ ისინი ოკეანეებს, კონტინენტებიდან კონტინენტებამდე გადაიტანენ ნავთს, მანქანებს, გადაიყვანენ მგზავრებს, ისე რომ სულ უმნიშვნელო რაოდენობით ატომურ საწვავს დაწვავენ. ეს, ჯერ ცდაა, ოცნებაა, მაგრამ ოცნებაცაა და ოცნებაც. ეს ისეთი ოცნებაა, რომელსაც ხვალ უეჭველი ახდენა უწერია.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ ა ნ ი  რ ო დ ა რ ი

# როგორ ჩავარდა ალისა ზღვაში

ერთ ზაფხულს ალისა ზღვაზე წაიყვანეს, და ისე მოეწონა, წყლიდან აღარ ამოდიოდა.

— გეყოფა, ამოდი, შვილო, ალისა! — გასძახებდა ხოლმე დედა.

— ახლავე, ახლავე! უკვე ამოვდივარ, — ხმას გააგონებდა ალისა.

ამოსვლის მაგივრად კი ფიქრობდა: ფეხსაც არ ამოვადგამ, სულ წყალში ვიჯდები, სანამ ფარფლები არ გამომივა და თევზად არ გადავიქცევიო.

დაწოლის წინ ყოველ საღამოს სარკესთან იდგა და მხრებს ისინჯავდა — უკვე ხომ არ გამომივიდა ფარფლებიო. ანდა ტანზე ხელს ისვამდა — ქერცლი ამაჩნდა თუ არაო. მაგრამ არც ფარფლებისა ეტყობოდა რამე და არც ქერცლისა. ხანდახან ქვიშა თუ მოხვდებოდა ხელში. ისიც მაშინ, როცა დაეზარებოდა ხოლმე და შხაპს წესიერად არ გადაივლებდა.

ერთხელაც დილაადრიან მივიდა ზღვასთან და პატარა ბიჭი დაინახა. ის ბიჭი ზღვის ზღარბებს, საჭმელ მოლუსკებსა და კოკორინა ჩიტებს აგროვებდა. მეთევზის შვილი იყო და ზღვის ასავალ-დასავალში თავისი ხუთი თითივით ერკვეოდა.

— აბა, თუ იცი, თევზად როგორ უნდა გადაიქცე? — შეეკითხა ალისა.

— მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, — უპასუხა ბიჭმა. — თუ გინდა ახლავე გადავიქცევი.

ცხვირსახოცში გამოკრული ზღვის ნადაველი ქვაზე დადო და წყალში გა-



დაეშვა. გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი, ბიჭი კი არა ჩანდა. ცოტა ხნის მერე ბიჭის მაგივრად წყლიდან დელფინმა ამოყო თავი და იქვე, ზედ ალისას ფეხებთან აკუნტრუშდა, აჭყუმპალავდა, ხან თავდაყირა დგებოდა, ხანაც მალაყს გადადიოდა, სულ ააქაფა მთელი წყალი, მაგრამ ალისას ოდნავი შიშიც არ უგრძვნია.

დელფინმა თამაშით გული რომ იჯერა, კუდი მოხდენილად გააქნ-გამოაქნია და ზღვაში მიიმალა. დელფინის ადგილას კი ის ბიჭი ამოვიდა.

— აი, ხედავ, რა ადვილია? — ღიმილით უთხრა ბიჭმა.

— ვხედავ, — უპასუხა ალისამ. — ოღონდ მე ალბათ არ გამომივა.

— რა იცი, სცადე.

ალისამ წყალში ტყაპანი მოადინა და ძირ-ძირ წავიდა. ერთი სული ჰქონდა — თევზად თუ არა ჩვეულებრივ ზღვის ვარსკვლავად მაინც ვიქცეო. მაგრამ ვარსკვლავად იქცა კი არა, ნიჟარაში ამოყო თავი. იმ ოხერს სწორედ მაშინ მოუნდა დამთქნარება. როგორც კი ალისას მოლუსკის ფაფასავით რბილ ტანზე მოუხვდა ფეხი, ნიჟარა იმ წუთს პირივით მოიკუმა და ეს შენი მოწონებული გოგოც თავის ლამაზ ოცნებიანად შიგ მოიქცია.

ვაიმე, რა უბედურ დღეში ჩავვარდიო, გაიფიქრა ალისამ, მაგრამ წყალქვეშ ისე გრილოდა. ისეთი სიმშვიდე და სიმყუდროვე იყო, თავი ნიჟარაში კი არა, ერთბაშად წალკოტში წარმოიდგინა. ამოსვლა აღარ უნდოდა, რა კარგი ყოფილა, ნეტავი სულ აქ მამყოფა, ძველად კი ალბიც წყალში ცხოვრობდნენო...

ამის ფიქრში იყო და, ალისამ უცაბედად ამოიოხრა. დედა მოაგონდა. ალბათ ჯერ ისევ ლოგინში ვგონივარო. მერე მამა დაუდგა თვალწინ. დღეს აუცილებლად ჩამოვა ქალაქიდან, შაბათიაო.

„არა, მარტოებს ვერ დავტოვებ. ფიქრობდა ალისა. — მერე როგორ ვუყვარვარ! წავალ. რაც არის, არის, დავბრუნდები დედამიწაზე".

გაიქიფხა დახვლიკული გოგო. ჯერ ხელებით მიაწვა, მერე ფეხებიც მიაშველა. როგორც იყო, გასწორ-გამოსწია ხიქარა და ამოძვრა. ცოტა იცურა თუ ბევრი იცურა, [illegible] ამოტივტივდა [illegible] იყო. მოეჩვენა [illegible] ბიჭი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] უკვე [illegible].

ალისამაც [illegible] [illegible] არასოდეს [illegible] არ გაუმხელია, რაც ზღვის ფსკერზე ნიჟარაში შეემთხვა.

# ოსტიის სანაპირო

რომიდან თუ გახვალ და მდინარე ტიბრის ნაპირ-ნაპირ გზიურ იქით ივლი, საითაც ზღვაში მზე ჩადის, ზუსტად ოსტიის სანაპიროს მიადგები. ზამთარში იქაურობა უდაბნოსავით უკაცრიელია. სამაგიეროდ, ზაფხულობით უნდა ნახო, რა ამბავი აქვთ ოსტიაში ჩასულ რომაელებს. სანძლეოს დავდებ, თუ მთელ იმ არემარეში დილიდან დაღამებამდე ერთ თავისუფალ ადგილს ვინმე იპოვნის. დასაწოლსა და დასაჯდომს აღარ ვამბობ. აი გინდ სათამაშო ნიჩბით პატარა ორმო რომ ამოთხარო, იმის ადგილსაც ვერა ნახავ. ანდა ორმოს ვინ დაეძებს, ვინც ცოტა გვიან მიდის, ქოლგაც კი ვერსად ჩაურჭვია, რომ შეეფაროს და მზემ არ დაჰკრას!

ერთხელ აქ ვიღაც უცნაური სინიორი მოვიდა. ცხრა ნაბადზე მხტომელი, მარჯვე კაცი ჩანდა. უკვე შუადღე იყო მოტანებული. სინიორს ქოლგა იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი და, რაღა თქმა უნდა, ადგილი ვერ იპოვნა, რომ სადმე ჩაერჭო. ნათქვამი რომ არის, დაგვიანებულმა იკითხა, მე სადღა დავჯდეო, სადა და — კაკჭაჭის ბოლოზეო, სწორედ ისე მოუვიდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. ქოლგა გაშალა, ცოტა ხანს ტარი ხელში ატრიალა და, იცი, რა მოხდა? ერთბაშად ქოლგა თავისით აფრინდა ჰაერში. სხვა ათას ჭრელაჭრულა ქოლგას გადაუარა და ზედ ზღვის პირას გაჩერდა, მიწიდან ასე ორ-სამ მეტრზე. მერე ხელად ჰაერშივე გამართა სავარძელი, გადაწვა კოხტად ქოლგის ჩრდილში, ჯიბიდან წიგნი ამოაძვრინა და კითხვას შეუდგა. თანაც ზღვის ჰაერს ხარბად ისუნთქავდა. ესიამოვნებოდა მარილითა და იოდით გაჟღენთილი ჰაერი ცოტა ყელში რომ ულიტინებდა.

პირველად ვერავინ შეამჩნია. ყველა თავ-თავის ქოლგას ამოჰფარებოდა. ან კროსვორდს ხსნიდა, ანდა ყელყელაობდა. თავებსა და თავებს [illegible] ზღვისკენ იცქირებოდა, აბა თუ [illegible]. [illegible] კი [illegible] არ [illegible].

[illegible] [illegible] შუადღეში სინიორას ქოლგას რაღაც დაეცა რბილად. [illegible] [illegible], იფიქრა სინიორამ და ქოლგის ქვეშიდან გამოძვრა. [illegible] [illegible] უნდა [illegible] [illegible] ბიჭუნას. აქეთ გაიხედა, [illegible] არა ჩანდა, იქით გაიხედა, არც იქით იყო ვინმე! მაშ რა დამეცა, ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდაო, თავისდა უნებურად აიხედა სინიორამ მაღლა და რასა ხედავს — ზედ იმის თავზე ვიღაც



სავარძლიანი და ქოლგიანი კაცი არ დაქარქარებს!

ბოდიშს ვიხდი, სინიორა, ჩამოსასხმა იმ კაცმა, — წიგნი ჩამომივარდა და, რუ დამიბრუნებთ, [illegible] გდეთ.

სინიორას რა ეწიგნებოდა, ელდისაგან თავრეტდასხმულმა ქვიშაზე ჯღართანი მოადინა და წელი ველარ აიტანა. გატიკნული, ღონდრონხა ქალი იყო. [illegible] ტანს აწევა არ უნდოდა?! რა მოგივიდა, ხმა ამოიღეთ, მისცვივდნენ ნათესავები და ჯანჯლარი დაუწყეს. მაგრამ სინიორას კრინტს ვერა ძრავდა. მერე, როგორც იყო, [illegible] [illegible] და უხმოდ გაიშვირა თითი, — მაღლა [illegible], [illegible].

— ნუ დამზარდებით, წიგნი ამომიგდეთ, თუ შეიძლება, — ვითომც არაფერი არც მომხდარაო, ისე ჩამოსძახა სავარძელში ნებივრად გადაწოლილმა სინიორმა.

— თქვენ რაო, ვერა ხედავთ? დეიდა შეგვიშინეთ.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რა ჩემი ბრალია!

— მაშ თუ ეგრეა, ძირს ჩამობრძანდით, აქ აკრძალულია ფრენა.

— რა აკრძალული, რის აკრძალული! მანდ სად ჩამოვიდე, ნემსიც არ ჩავარდება. რომ იცოდეთ, გადასახადს ვიხდი, ერთი ადგილი მეც მეკუთვნის!

ამასობაში, რაც იქ ხალხი იყო, სუყველამ თავი მაღლა ასწია და იმ უცნაურ სინიორს მიაშტერდა. არა, უბრალო რა სათქმელია, მაგის ქოლგა ნამდვილად რეაქტიულიაო, ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

— ეჰეი, გაგარინ, — უყვიროდნენ დაბლიდან, — ჩვენც ჩაგვსხი, წაგვიყვანე, თუ ძმა ხარ!

ბოლოს ვიღაც პატარა ბიჭმა დაავლო წიგნს ხელი და აისროლა, სინიორმა ბრაზიანად გადაფურცლა, მიაგნო, რა ადგილზეც იყო გაჩერებული, და კითხვა განაგრძო.

ხალხმა თანდათან თვალი შეაჩვია და აღარავინ არ აწუხებდა, შეეშვნენ, გაანებეს თავი. მარტო პატარა ბიჭებიღა შენატროდნენ, შურის თვალით ახედავდნენ ხოლმე, გულადები კი დალაპარაკებასაც უბედავდნენ.

— სინიორ! ჰეი, სინიორ! — უყვიროდნენ.

— რა იყოთ, რა?

—გვითხარით, თუ შეიძლება, რა ქნათ? ჩვენც გვინდა ჰაერში ფრენა!

პასუხად სინიორი რაღაცას ბუზღუნებდა და თავს ისევ წიგნში ჰყოფდა. მზე რომ ჩავიდა, ქოლგა ოდნავი ზუზუნ-ბზუილით მოსწყდა ადგილს და სინიორი სწორედ თავის მოტოციკლთან დაეშვა, ხელდახელ დაქოქა, დაჯდა და გაქანდა.

ისე წავიდა, ვერავინ ვერ გაიგო, ვინ იყო, რა კაცი იყო და სადა ჰქონდა ნაყიდი ის მფრინავი ქოლგა.

# ზღაპარი არსად მიმავალი გზის

სოფლის გადაღმა შარაგზა სამად იყრებოდა. ერთი გზა ზღვისკენ იყო გაჭიმული, მეორე პირდაპირ ქალაქში ჩაგიყვანდა, მესამე კი არსად არ მიდიოდა.

მარტინომ კარგად იცოდა ამ გზის ამბავი. სოფელში ვისაც კი შეეკითხა, ამ გზით რომ წავიდე, სად მიმიყვანსო, სუყველა ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: არსადაც არ მიგიყვანს, ტყუილად ფეხებს დაიღლიო.

— მაინც სადამდე მიდის? — არ ეშვებოდა ხოლმე მარტინო.

— არც სადამდე!

— მაშ, აბა რაღატომ გაიყვანეს?

— არავისაც არ გაუყვანია. ეგ გზა სულ მუდამ იყო.

— როგორ დავიჯერო, ნუთუ თავის დღეში ერთი ვინმე მაინც არ გაჰყოლია!

—— ღმერთო, რა თავისნათქვამა ხარ! — ეუბნებოდნენ გაბეზრებული მეზობლები. — აკი გითხრეს, ეგ გზა არსად მიდისო, და აბა ვინ უნდა გაჰყოლოდა!

— არაფერიც არ იცით! — ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა ხოლმე გაკერპებული მარტინო. — ან რა უნდა იცოდეთ, როცა მაგ გზით ერთხელაც არ გივლიათ!

რამეს რომ იტყოდა, მოკვდებოდა, გაწყდებოდა და მაინც თავისას გაიტანდა. იმისთანა გაქირს იზამდა, ტყუილია! იმიტომაც იყო — მთელი სოფელი დიდიან-პატარიანად გაქირას ეძახდა. მაგრამ მარტინოს ზედმეტი სახელი არა სწყინდა და სულ ერთთავად იმ არსად მიმავალ გზაზე ფიქრობდა.

ცოტა დღესა, ცოტა ხვალა, და წამოიზარდა მარტინო. ქუჩას უკვე თავისით გადადიოდა, პაპას აღარ ეჭირა ხოლმე ხელით. ერთხელ სისხამზე ადგა, მზე ის იყო ამოიწვერა, გავიდა გარეთ და მაინცდამაინც იმ გზას გაჰყვა, არსად არ მიგიყვანსო, რომ ეუბნებოდნენ. მიდიოდა მარტინო, გულს არ იტეხდა, მაგრამ გზას თანდათან გზობისა აღარაფერი არ ეტყობოდა. ალაგ-ალაგ ზედ ლიხსა და შამბნარს გადაევლო, ოღრო-ჩოღროებს ხომ ნუღარ იტყვი! სულ მიხრამულ-მოხრამული იყო. კიდევ კარგი, დარი იდგა, თორემ წვიმიან ამინდში იმ გუბეებს რა გაივლიდა! ცოტა ხანს ჯერ ძეძვებში იარა მარტინომ, მერე ერთბაშად ღურღუმ ტყეში ამოყო თავი და მოეჩვენა, ალბათ ბნელ, ნესტიან გვირაბში შევედიო. აქა-იქ იშვიათად ატანდა თითო-ოროლა მზის სხივი, და როგორც უკუნ ღამეში შუქურა გაიკიაფებს ხოლმე სადმე ზღვის პირას, ისე იმედიანად ჩამოსციმციმებდნენ ის სხივებიც.

მიდის მარტინო, მხნედ მიაბიჯებს, მაგრამ გვირაბს დასასრული არ უჩანს. საწყალ ბიჭს მუხლში ძალა წაერთვა, ფეხებს ძლივსღა ადგამდა. არაქათგამოცლილმა ის იყო უკან დაბრუნება დააპირა, რომ უცაბედად ძაღლს მოჰკრა თვალი.

„საცა ძაღლია, ახლომახლო ან ადამიანია, ან სახლი“, — გაიფიქრა მარტინომ და ცოტა შვება იგრძნო.

ძაღლმა მარტინოს კუდის ქიცინით შემოურბინა გარშემო, ხელი გაულოკა და დაბურულ გზას მიჰყვა. მირბოდა და თან უკან იცქირებოდა, აბა. მარტინო მომდევს თუ არაო.

— მოგდევ, მოგდევ! — მისძახოდა მარტინო და თან გულში ფიქრობდა: „აი საკვირველება თუ გინდა, ეს არის“.

ამ სირბილ-სირბილში კარგა მანძილი გაიარეს და ტყეც ცოტა გამეჩხერდა, მაღლა ცის თაღი გამოჩნდა. გზა ერთ უშველებელ რკინის ალაყაფს მიადგა და გათავდა! აღარც აქეთ იყო წასასვლელი, აღარც იქით.

შეიჭვრიტა მარტინომ კარებში და რას ხედავს — წალკოტში თოვლივით თეთრი მარმარილოს სასახლე დგას, სასახლის სუყველა კარი და ფანჯარა ღიაა, საკვამურებიდან ბოლი ამობურბურებს, აივნიდან კი მზეთუნახავი ეძახის, ხელს უქნევს, ვიცი, მეტსახელად გაქირა ხარ, აქ მოდიო.

— უყურე ერთი! — წაიჩურჩულა გახარებულმა მარტინომ. — მე არც ვიცოდი, აქ თუ მოვიდოდი, მაგან კი ხელად მიცნო.

მარტინოს დიდხანს აღარ უფიქრია. ურდულს ხელი გაჰკრა, წალკოტი გაიარა და სასახლეში შევიდა. დარბაზის კარი შეაღო თუ არა, შესახვედრად წამოსული მზეთუნახავი დაინახა, მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ფიანდაზს ჩამოსდევდა. იმის მნახველს მზეც აღარ მოეწონებოდა. ახლა რა ეცვა და რა ეხურა, არ იკითხავ! ოჰო, ჰო, ჰო, ჰო! მოდიოდა და თან კისკისებდა, იბადრებოდა. მხიარული სინიორა იყო, ეტყობოდა.

მარტინომ თავი დაუკრა და დაელოდა, ვნახოთ, რას მეტყვისო.

— შენ მაინც არავის არ დაუჯერე, არა? — ღიმილით ჰკითხა სინიორამ.

— რა არ დავუჯერე?

— რა და, ამ გზაზე რომ გითხრეს, არსად არ მიგიყვანსო.

— სისულელე მითხრეს, და იმიტომ არ დავუჯერე. თუ არ იარე, გზას რა დალევს!

— მართალი ხარ. რაც მეტს ივლი, მეტსა ნახავ. წამო, ბარემ სასახლესაც გაჩვენებ.

მარტინო თვალებს არ უჯერებდა, იმისთანა რამეები ნახა. ჯერ ოთახებსა და დარბაზებს ხომ თვლა არა ჰქონდა! თანაც სულ განძით იყო მთელი სასახლე გაჭედილი. რა გინდა სულო და გულო, იქ არ გენახა! ეს ალმასებიო, ძვირფასი თვლებიო, მარგალიტებიო. ოქროსა და ვერცხლზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, იმდენი ეყარა.

— აიღე, რაც გინდა! — ეუბნებოდა სინიორა მარტინოს. — თუ ვერ მოერევი, ჩემი ეტლით გაგამგზავრებ.

მარტინოს ბევრი ხვეწნა არ უნდოდა არჩია, არჩია და ეტლი სულმთლად აავსებინა. ეტლის კოფოზე ის ნაგაზი იჯდა. გაწაფული ძაღლი იყო, ცხენები ქარივით მიჰყავდა. არც ერთს ფეხს არ შეანელებინებდა, გზიდან არ გადაახვევინებდა.

სოფელში აღარავის არ ეგონა, მარტინო თუ ცოცხალი იყო, და სუყველა სახტად დარჩა, როცა ეტლში წამოსკუპებული დაინახეს. იმ მეეტლე ნაგაზმა მთელი სიმდიდრე ხელდახელ სოფლის მოედანზე გადმოაწყო, პატივისცემის ნიშნად კუდი ორჯერ გააქნ-გამოაქნია, ახტა კოფოზე და, მიწამ უყო პირი, თუ ცამ ჩაყლაპა, ველარავინ ვერ დაინახა, იმ ადგილას მტვრის კორიანტელიღა იდგა.

მარტინომ გულუხვად დაასაჩუქრა შინაურებიცა და გარეულებიც. არავისთვის არაფერი არ დანანებია, თანაც, სულ ცოტა, ასჯერ მაინც აამბობინეს, რაც იქ ამბავი გადახდა. მოყოლას დაასრულებდა თუ არა, ხან ერთი წამოხტებოდა ხოლმე, ხან მეორე, გაიქცეოდა, ცხენს შეკაზმავდა და იმ არსად მიმავალ გზას გაუტევდა.

მაგრამ იმავე საღამოს პირში ჩალაგამოვლებულნი ბრუნდებოდნენ უკან და ძაღლებივით იღრინებოდნენ. ზოგი ამბობდა, ეგ რაღაცას იტყუება, იმ დასაკარგავში გზას რა უნდაო. მეორენი ამბობდნენ, გზა კია დაქნილი, მაგრამ ძეძვიანშია სასიარულოო. ერთი სიტყვით, არავინ თვალის დამკვრელი არ იყო არც იმ რკინის ალაყაფის კარისა, არც იმ სასახლისა, არც იმ სათნო მზეთუნახავისა. ან რა თვალი უნდა დაეკრათ? განძი ეგრე ადვილად ყველას კი არ უვარდება ხელში! მარტინოსი არ იყოს, გზა იქით პირველმა თუ არ გაკვალე, ისე არაფერი გამოვა.

თარგმნა ზურაბ გოგიაშვილმა.

მხატვარი ედ. ამბოკაძე.



# ნიანგი ადამიანს არ უყვარს



ყველაზე საშიში და ულმობელი ქვეწარმავალი ნიანგია. ბევრი სპეციალისტის კარაუდით, ნიანგი გაცილებით მეტი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ვიდრე ლომი, ვეფხვი, ლეოპარდი და გველი ერთად.

მარტო აფრიკა, მისი წყალობით, ყოველწლიურად ათასამდე ადამიანს ჰკარგავს.

ნიანგი ბინადრობს ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში, აზიაში, წყნარი ოკეანის ტროპიკულ კუნძულებზე და ჩრდილო ავსტრალიაში.

ქვეწარმავლებიდან, ქამელეონის მსგავსი ხვლიკის გარდა, ხმას მხოლოდ ნიანგი გამოსცემს. მერე რა ხმას! ისე ღრიალებს, რომ ვეებერთელა დოლების ბრახაბრუხი გეგონებათ. რამდენჯერაც არ უნდა მოსძვრეს კბილი, სამაგიერო ამოსდის. ჭამით — ყველაფერს გეახლებათ! კუჭის წვენი ისეთი შემადგენლობისა აქვს, რომ რკინასაც კი ინელებს. ტყვეობაში მყოფი კი დღეში ნახევარი კილოგრამი ხორცითაც კმაყოფილდება.

ნიანგს ორი მძლავრი იარაღი აქვს — ყბები და კუდი.

კუდს ისე მძლავრად იქნევს, რომ ერთი შემორტყმით შეიძლება ანტილოპას ფეხიც კი მოსტეხოს. ხომ ასეთი ძალღონისაა, მსხვერპლს მაინც ეპარება, მეჩეჩიდან უჩუმრად ჩადის წყალში და ელვის სისწრაფით სტაცებს პირს.

როცა წყალშია, [illegible] მხოლოდ ნესტოებსა და თვალებს ამოჰყოფს ხოლმე. მის თვალის გუგებში მოთავსებული ათასობით უწვრილესი ბროლი ისე კარგად გარდატეხს სინათლის სხივებს, რომ ნიანგი წყალქვეშ ღამითაც კი ხედავს.

იშვიათია, რომ ნადირი ადამიანს წინასწარი ზრახვით ესხმოდეს თავს, ნიანგი იმ იშვიათ თავდამსხმელებს ეკუთვნის.

იმ მხარეებში, სადაც ადამიანს ნიანგი წმინდა ცხოველად ჰყავს მიჩნეული და ჰკვებავს, ანდა, თუ იგი თევზით სავსე ტბებში ცხოვრობს, და საკვები საკმარი აქვს, თავს არ ესხმის ადამიანს, მაგრამ თუ საკვები შემოაკლდა, მაშინ კი, რა მოგახსენოთ, უკან არ დაიხევს!

ნიანგის მსხვერპლი უმეტესად მდინარის ნაპირზე მყოფი მრეცხავი ქალები და წყალში მოჭყუმპალავე ბავშვები ხდებიან, ბევრი აფრიკელი ავგაროზის იმედით ჩადის წყალში, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდებათ ხოლმე.



## ოჩოფეხებით სკოლისკენ

პირველკლასელი სკოლაში ოჩოფეხებით უნდა მოვიდეს, — ამას მოითხოვს ლონდონის უილიამ ლაისნერის სკოლაში მიღების ერთ-ერთი წესი. საქმე ის არის, რომ ეს სკოლა ცირკის ნორჩ მსახიობებს ამზადებს. იმისათვის, რომ მეორე კლასში გადავიდეს, მოსწავლე სკოლის შენობაში ხელებით ყირაზე მდგარი უნდა შევიდეს, დირექტორის კაბინეტში შესვლისას კი გაჭიმულ ბაგირზე უნდა გაიაროს.

## ყინულოვანი ხანიდან მოსულნი

საფრანგეთის ძველი საბატოს-სანდრას ადგილზე გათხრების დროს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს გამჭვირვალე ბრმა კრევეტები (ზღვის პატარა კიბოები). გამოკვლევით დადგინდა, რომ მათი ბიოლოგიური ასაკი 15 ათასი წელია, ესე იგი ყინულოვანი ხანის დროინდელები არიან. კრევეტები ჭაში, 30 მეტრის სიღრმეზე ცხოვრობენ. როგორც კი სინათლეში მოხვდებიან, მყისვე იღუპებიან. ფრანგი მკვლევარების აზრით, ამ კრევეტებმა იმიტომ იარსებეს აქამდე, რომ, როგორც ჩანს, ჭის ფსკერზე შენარჩუნებული იყო ყინულოვანი ხანის მიკროზავა.

## ყველაზე უნივერსალური

როგორც სტატისტიკოსებმა გამოარკვიეს, საოჯახო ნივთებს შორის უნივერსალობის მხრივ აბსოლუტური პირველი ადგილი ჩვეულებრივ ჩემოდანს უკავია. საზრიანმა გამომგონებლებმა მის ბაზაზე გააკეთეს ჩემოდანი-ნავი, ჩემოდანი-კარავი, ჩემოდანი-საწოლი, ჩემოდანი-ჩაიდანი, ჩემოდანი-სამზარეულო, ჩემოდანი-პირსაბანი, ჩემოდანი-სადალაქო, ჩემოდანი-სეიფი, ჩემოდანი-სასადილო და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ჩემოდანი-მარხილიც კი არსებობს.



## ტამტამში რომ ჩაიხედა...

საინტერესოდ დამთავრდა ტამტამის დამკვრელთა შეჯიბრება გაბონში. პროგრამაში

ნიანგს ღეჭვა არ შეუძლია, ამიტომ ისეთ საკვებს ეტანება, რასაც მთლიანად გადაყლაპავს. ხოლო თუ ნადავლი დიდია, ქვეწარმავალი მას წყალქვეშ, საგანგებო მღვიმეში მიათრევს. ამ მღვიმეს თავზე ჰაერისათვის ხვრელი აქვს დატოვებული, აქ ნადავლი ლპება, რბილდება და მერე ადვილად შეთანთქავს ხოლმე.

ერთ აფრიკელს საოცარი ამბავი შეემთხვა: ნიანგმა ის სწორედ ამ მღვიმეში შეათრია. როცა აფრიკელი გონს მოეგო, დაინახა, რომ დამპალ ცხოველთა შორის იმყოფებოდა. ბედად ნიანგი მალე გაბრუნდა და აფრიკელი სწორედ იმ საჰაერო ხვრელის წყალობით, დაუსხლტა ხელიდან.

ყველაზე მეტად ნილოსისა და მადაგასკარის ნიანგია გავრცელებული.

დედალი ნიანგი ქვიშაში რამდენიმე შვიდსანტიმეტრიან კვერცხს სდებს, ზემოდანაც ქვიშით ფარავს და სამ თვეს ელოდება.

ახლადდაჩეკილ ნიანგებს ქვიშიდან ამოძრომა უჭირთ და დასახმარებლად დედას უხმობენ.

მათი ხმის გაგონებისთანავე დედა სწრაფად გაეშურება ხოლმე შვილების საშველად.

ერთხელ მეცნიერებმა მაგარი ჯებირი შემოავლეს ახალშობილთა სამყოფელს. გაავთრებულმა დედა ნიანგმა სულ ნამსხვრევებად აქცია იქაურობა და მიზანს მაინც მიაღწია, იმდენად ძლიერია მათში მშობლიური ზრუნვის ეს ინსტიქტი.

ცხოველთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ნიანგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იზრდება. სიცოცხლით კი ხშირად ას წელიწადზე მეტს ცოცხლობს. ერთი კია: ხანდაზმულობაში შედარებით ნაკლებად მატულობს სიგრძეში.

ბოლო წლებში ნიანგებზე ნადირობა ისე გახშირდა, რომ ას წლამდე ისინი ველარ აღწევენ.

ცნობილია, რომ ნიანგი 9 მეტრამდეც კი იზრდება. მაგრამ უკანასკნელ წლებში მოკლულთაგან არც ერთი მათგანის სიგრძე არ აღემატებოდა 6 მეტრს.



შეტანილი იყო შეჯიბრი „ხმის სიძლიერესა და წმინდა ჟღერადობაში". ჟიური ერთ ადგილას იჯდა, სატვირთო მანქანებზე მდგარი მუსიკოსები კი სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ იქაურობას. ბოლოს ყველა საკრავის ხმა მიწყდა, მხოლოდ ერთის ხმა ისმოდა — იგი კვლავ მკაფიოდ და წმინდად ჟღერდა.

იმ დროს, როცა გამარჯვებულს პრიზს გადასცემდნენ, ერთ-ერთმა დამარცხებულმა „ჯადოსნური" ტამტამი დაათვალიერა და რა დაინახა: თურმე მასში მოხერხებულად იყო ჩამალული ტრანზისტორული ხმისგამაძლიერებელი. ცხადია, ტამტამის პატრონმა პირველი პრემია ვერ მიიღო, სამაგიეროდ, მას გადასცეს სპეციალური პრიზი „ტრადიციული საკრავის გაუმჯობესებისათვის".

### ძირს ხმაური!

„ძირს ხმაური!" — ამ ლოზუნგით ჩაიარა მუსიკის საერთაშორისო საბჭოს გენერალურმა ასამბლეამ პარიზში. ასამბლეაზე შეკრებილმა ხელოვნების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ადამიანს სრული უფლება აქვს მოითხოვოს სიწყნარე, „რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი გაწამებული სმენისათვის". ასამბლეამ თავის აღმასრულებელ კომიტეტს დაავალა, შეისწავლოს სიჩუმის პრობლემა სამეცნიერო-ტექნიკური, სამედიცინო და იურიდიული მხრით, აგრეთვე დასახოს ღონისძიებები, რათა ბოლო მოუღოს „მუსიკის უზომო და თვითნებურ გამოყენებას". თვით მუსიკოსთა აზრითაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში მუსიკის მეტისმეტი დოზა პირდაპირ ხელყოფს პიროვნების თავისუფლებას.



### კოსმონავტები და ბალეტი

სპეციალური საგნების გარდა, კოსმონავტებს საბალეტო სკოლის გავლაც მოუწევთ. — ასე დაასკვნა ექიმების ჯგუფმა, რომელიც პროფესიონალი მოცეკვავეების მეცადინეობას აკვირდებოდა.

მრავალ პირუეტს (ბრუნს) რომ აკეთებს, მოცეკვავე კოორდინაციას არ კარგავს, თავბრუ არ ეხვევა და კვლავ განაგრძობს ცეკვას.

მთვარეზე შეიძლება სწრაფი სიარული, თუმცა ამ პლანეტის ზედაპირზე ფეხი ცურავს, — ამტკიცებენ ამერიკელი კოსმონავტები. მაგრამ რა ელით დედამიწის წარგზავნილებს უფრო შორეულ ცთომილებზე? როგორი იქნება მოძრაობის პირობები იქ? ეს ჯერ არავინ არ იცის, მაგრამ ერთი რამ ნათელია: სიძნელეების დასაძლევად საჭიროა სათანადო მომზადება. ექიმებიც სწორედ ამიტომ ურჩევენ კოსმონავტებს საბალეტო სკოლის გავლას.



როცა მოქრომილ ან გაპრიალებულზედაპირიან ლითონს გირაგით ამუშავებ, დეტალის ზედაპირი რომ არ შეიბღალოს, კბილანებსა და მის შორის პლასტმასის რგოლი დაუტანე (მინის ქილებს რომ აქვთ ხუფქვეშ შემოხვეული, ისეთი).



როცა გინდა მილს ან სხვა რაიმე დეტალს ქანჩი მიადუღო, მიდუღების დროს აღმოცენებული წვეთები ქანჩის კბილანებს რომ არ მიაკერდეს, მასში წინდაწინ ლითონის ხრახნი ჩახრახნე.



ბოლო ხანებში ოთახის მცენარეები ძალზე პოპულარული გახდა. სადღა არ შეხვდებით კედელზე თიხის სამკუთხა ქოთნიდან მწვანედ გადმოშლილ ხვიარა მცენარეებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მცენარის წვრილი და სუსტი ღერო გაპრიალებულ კედელზე ფეხს ვერ იკიდებს. დახედე ამ ნახატს და მიხვდები, როგორ უნდა მიამაგრო ღერო კედელს ჩვეულებრივი ლეიკოპლასტირით.



პასტიანი ავტომატური კალამი ბევრჯერ რომ დაიტენება, ბურთულასა და ღერძულას შორის არე თანდათან ფართოვდება, კალამი კოხტად აღარ წერს, ქაღალდსა და ხელს თხუპნის. ეს ნაკლი გამოსწორდება, თუ კალამს წვერს შეუკუმშავთ. ამისათვის დიდი ამბავი არ დაგჭირდება; აიღე, კალმის წვერი ლითონის ჭიკარტის სამკუთხედს მიაჭირე და დაატრიალე.



ლითონის მტვერსა და უწვრილეს ნამსხვრევებს მაგნიტის ზედაპირი ისეთი



ძალით მიიკრავს ხოლმე, რომ იოლად ვერ მოაცილებ. ამისათვისაც ლეიკოპლასტირი იხმარე — აუსვი იგი მაგნიტის პირს და უმალ გააკრიალებს.

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


ბახტაძე გ. — ალმები გვიამბობენ (ნარკვევი) . . . . . . . 1
კილასონია ნ. — მქვია სიმღერა (ლექსი) . . . . . . . 3
ჩაჩანიძე რ. — ოთხას მეცხრე კვადრატი (მოთხრობა) . . . . 4
მიქაძე ქ. — ტყე — ჩვენი ლაზათი (ლექსი) . . . . . . 11
ტიხომიროვი ო. — სანიტარი (მოთხრობა) . . . . . . 12
თურქია ო. — ალჟირის ცის ქვეშ (ფოტონარკვევი) . . . . 13
გელაშვილი გ. — თხოვნა (მოთხრობა) . . . . . . . 18
სახვაძე ე. — რომ საქართველოს არგო (ლექსი) . . . . . . 20
ღარსაველიძე ნ. — გაზაფხული (ლექსი) . . . . . . . . 20
ჩხეტიანი მ. — მარტი (ლექსი) . . . . . . . . . 20
ბ უ ნ ე ბ ი ს  კ ა რ ი . . . . . . . . . . . 20
კაჟახიძე გ. — ვერეს ხეობაში (ნამდვილი ამბავი) . . . . 21
ც ი ს ფ ე რ  ო კ ე ა ნ ე შ ი . . . . . . . . . 24
ჯ. როდარი — ზღაპრები . . . . . . . . . . 26
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი  ს ა რ კ ე . . . . . . . . . 30
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . . . . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . . . . . . გარეკ. 3


გარეკანის პირველ გვერდზე „მერცხალი". ფოტოეტიუდი ზურაბ დათუაშვილისა.
გარეკანის მეოთხე გვერდზე „კვიცი", ნახატი ოთარ ჩხარტიშვილისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/I-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/II-71 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 216. ტირ. 125.900. უე 01680.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 1. განთიადი ანუ...? 3. ბავშვის საწოლი; 4. ი. ჭავჭავაძის ლექსი; 6. წყლის ცხოველი; 7. სალებავი; 9. მტაცებელი ცხოველი; 10. ჯ. ვერდის ოპერა; 12. კომში ანუ?.. 13. ბიჭის სახელი; 15. მთები სსრკ-ში; 16. ევროპის სახელმწიფო; 18. აფრიკისა და ტროპიკული აზიის მცენარე, რომელსაც თმის შესაღებავად ხმარობენ; 20 ნავსადგური ჩილეში; 23. უარყოფითი ნაწილაკი; 24. ჩვენებითი ნაცვალსახელი; 25. მდინარე დასავლეთ გერმანიაში; 27. სამხრეთ აზიის ერთ-ერთი დიდი მდინარე; 29. ფედერაციული გერმანიის დედაქალაქი; 30. ძვირფასი თვალი; 32. ზეთოვანი მცენარე; 33. ობის შენაკადი; 34. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 35. მდინარე საქართველოში.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. გამოჩენილი ქართველი პოეტის სახელი; 2. სახელმწიფო აზიაში; 3. ხილი; 5. შეიარაღებული ძალები ანუ?.. 6. მდინარე საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში; 8. მრავალფეხა მწერი; 9. მონღოლებისაგან დევნილი ხვარაზმშაჰის შვილი; 11. ქართველი კომპოზიტორი; 12. ქიმიური ელემენტი; 13. გამოჩენილი იტალიელი მეცნიერი; 14. მდინარე საქართველოში; 15. ისტორიული გემი; 17. საზომი ერთეული ძველ საქართველოში; 19. მუსიკაში ვოკალური ნაწარმოები ერთი ხმისათვის; 21. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 22. გაზაფხულის მახარობელი ყვავილი; 26. რგოლისებური მარჯნის კუნძული; 28. ძველი თბილისის უბანი; 29. ოთახის ყვავილი; 31. გარეული ცხოველი; 32. ჰავაის კუნძულთა ჯგუფის კუნძული.

ციცინო გიანაშვილი,
თიანეთის 8-წლიანი სკოლის VII კლ. მოსწავლე.




### ს ა ხ უ მ ა რ ო გ ა მ ო ც ა ნ ა

შეიძლება თუ არა არსებობდეს ასეთი თანაფარდობა:

$19+20=15.$

## პასუხი № 2-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კ რ ო ს ვ ო რ დ ი.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. არზა; 2. აბრა; 3. პინა; 4. უშბა; 6. ალათაუ; 8. ვარძია; 12. სირია; 13 მერია; 14. ბზა; 16. ილი; 18. უსტარი; 20. აისორი; 22. ზიჩი; 23. ეული; 24. ფაია; 25. ილია.

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 5. რვა; 7. ბოგირი; 8. ვიშ; 9. ავაზა; 10. აორტა; 11. აბახთუმანი; 14. ბიუსტი; 15. ექთანი; 17. ასუანი; 19. იალაღი; 21. სამარყანდი; 22. ზვარე; 24. ფიორი; 26. ჩაი; 27. ლიახვი; 28. ირი.

### ორნი ესკალატორზე

ამ კითხვაზე უცებ უპასუხებენ ხოლმე — ვინც ნელა გარბის, ცხადია, ისო. შემდეგ ცოტას რომ დაფიქრდებიან, გაასწორებენ — ის, ვინც ჩქარა გარბისო.

ორივე პასუხი სწორია და არც არის სწორი. ამოცანის პირობა არაფერს ამბობს, რა მიმართულებით გარბიან ადამიანები, ესკალატორის მოძრაობის მიმართულებით, მის საწინააღმდეგოდ, თუ, ესკალატორი საერთოდ არ მოძრაობს. განვიხილოთ ეს ვარიანტები: 1. თუ ესკალატორი დგას, მაშინ საფეხურებს ორივე თანაბრად დათვლის. 2. თუ ესკალატორი მოძრაობს და ადამიანები მოძრაობის მიმართულებით გარბიან, მაშინ... უკიდურესი შემთხვევისას, თუ ერთი სულ დგას, მეორე კი ტყვიასავით გარბის, — მეორე მეტს დათვლის. 3. თუ ესკალატორი მოძრაობს და ადამიანები მოძრაობის საწინააღმდეგოდ გარბიან, მაშინ, ჩამორჩენილი მეტს დათვლის. თანაც, თუ ესკალატორი მორბენლის სისწრაფით მოძრაობს, მაშინ იგი უსასრულოდ ბევრს დათვლის.

### ნიუტონის ამოცანა

### ოცი ძროხა

### ჭიქები

აილე ხელში მეორე ჭიქა, სასმელი მეხუთე ჭიქაში გადაასხი, ეს ჭიქა კი თავის ადგილას დადგი.

### სამი ჭურჭელი

ჯერ პირველი ჭურჭლიდან მეორეში უნდა გადაასხათ 5 ლიტრი წყალი; შემდეგ მეორიდან მესამეში — 3 ლიტრი, შემდეგ მესამედან პირველში — 3 ლიტრი, მეორიდან მესამეში — 2 ლ., პირველიდან მეორეში — 5 ლ., მეორედან მესამეში — 1 ლ. ამის შემდეგ მეორე ჭურჭელში იქნება 4 ლ., პირველში 1 ლ., მესამეში 3 ლ.

ამის შემდეგ საკმარისია მესამედან მთელი წყალი პირველში გადავასხათ და ამოცანაზე პასუხი გაცემული იქნება.



ИНДЕКС 26152

ეროვნული ბიბლიოთეკა